

დემოკრატიული საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

DECEMBRE

1936—№ 130

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—წლიური ჯამი.
 დარბაისელი—სტალინის ახალი კონსტიტუცია.
 ილია ნუცუბიძე—ეროვნული ღირსებისათვის.
 რ. ინგილა—მშენებელნი და მნგრეველნი.
 დ. შ.—დღევანდელი პოლონეთი.

ნაური—წერილი ამერიკიდან.
 ყ—ბერლინი და მოსკოვი.
 ტაუხულტან შახმანი—ღია წერილი.
 ს. გ—მე—გვარდიის დღეობა.
 მოწვეული—ქართველები ამერიკაში. და სსგ.

წ ლ ი უ რ ი ჯ ა მ ი

წლიური ჯამი ფრიად მდიდარია და მრავალფეროვანი, თქმა არ უნდა, მხოლოდ ვერავინ იტყვის, რომ ის დადებითი და კეთილის მომასწავებელი იყოს დამდეგ ახალი წლისთვის.

დავიწყეთ ისპანიის ამბებიდან, სადაც სამოქალაქო ომი უკანასკნელად აშკარა საგარეო ომის ხასიათს იღებს, რომელშიც ჩაბმულია გერმანია-იტალიის სამხედრო ძალები, ერთის მხრით, და საბჭოების, მეორეს მხრით. მონაწილეობას იღებენ აგრეთვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა მოხალისენი და განსხვავება ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაშია, რომ მათ უკან მთავრობანი არ სდგანან.

უკანასკნელნი ყოველ ღონეს სმარობენ, რომ ცეცხლი ჩააქრონ, ხელი შეუშალონ მის მთელ ევროპაზე გადადებას, რაზედაც ოცნებობს დღე და ღამ მოსკოვი და რასაც აღვივებენ მისი აგენტები ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ.

მიიშვან და ყალბი ღონდონის ჩაურევლობის კომიტეტის მდგომარეობა. ერთის მხრით, იქ წარმოდგენილი სახელმწიფოები თითქმის თანახმა არიან არ დაუშვან ისპანიის საქმეში გარედან ჩარევა, მეორეს მხრით, სამი მათგანი უკვე იბრძვის იქ და ცდის თავის სამხედრო ძალებს მომავალ ომისთვის უფრო განიერ ტერიტორიაზე. შესძლებს თუ არა ამ პირობებში კომიტეტი თავის მიზნის მიღწევას, ომის ლოკალიზაციას, საეჭვო კითხვად იქცა, და შეიძლება ასევე დარჩეს ბოლომდის, ე. ი. გადაუჭრელი,

სანამ ცეცხლის ალი არ ავარდება და არ მოიცავს მთელს ევროპას.

განა მართლ ევროპას? გაიხედეთ, რა ხდება შორეულ აღმოსავლეთში! ნანკინს აუჯანყდა მისი ჯარების ერთი ნაწილი და თვით ჩანკაიშეკი, რესპუბლიკის მეთაური და მთავარი სარდალი, ტყვედ ჩაუვარდა მას ხელში! აჯანყებული ნაწილი, მეორე მარშალის ჩანსიულიანის პირით (რომელიც შვილია მუკდენის ყოფილ დიდი ბატონის ჩანსოლის), მოითხოვს საბჭოებთან სამხედრო კავშირის შეკვრას და იაპონიისათვის დაუყენებლივ ომის გამოცხადებას.

სწორედ ამ საბედისწერო კომბინაციას გაუბოდა მარშალი ჩანკაიშეკი, აწარმოებდა რა, ერთის მხრით, დაუზოგველ ომს ჩინურ გაკომუნისტებულ პროვინციებთან და, არაპირდაპირ, მათი დამხმარე ფილდ მოსკოვთან, და მეორეს მხრით, მშვიდობიან მოლაპარაკებას იაპონიასთან. ამ ხერხიანი ტაქტიკით მან მიაღწია ბევრ რამეს: აჯანყებულ პროვინციებს იბრუნებდა ნელნელა და იაპონიასთანაც თანდათან ნორმალურ დამოკიდებულებას ამყარებდა, იმავე დროს რესპუბლიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინებას საძირკველს უყრიდა, და ყველა ამას ერთხმად ადასტურებდნენ უცხოეთის მეთვალყურენი ადგილობრივ.

ჩანსიულიანის გამოსვლამ მთელი ეს პროცესი ყირამალაზე დააყენა და სამოქალაქო ომი, რომელიც

თითქმის ჩაქრობის გზაზე იყო, ისევე აფეთქდა გაორ-
კეცებული სიმძლავრით.

მაშასადამე, აქაც სამოქალაქო ომი იმუქრება
საგარეო ომის დასაწყისი გახდეს! საბჭოები, ერთის
მხრით, იაპონია, მეორეს მხრით, ახალ სამხედრო
ძალებს გადისვრიან საზღვრებზე ერთმანეთთან ანგა-
რიშის გასასწორებლათ. დამოკიდებულება ისედაც
გამწვავებული იყო ამ ორ დიდ სახელმწიფოს შო-
რის, შეჩერდა უკვე მზამზარეულ ხელშეკრულების
ძალაში შესვლა მეთევზეობის შესახებ საბჭოთა
ზღვებზედ, რასაც იაპონიისათვის დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს.

მაგრამ ამის უშუალო მიზეზი გერმანია-იაპონი-
ის ანტიკომუნისტური პაქტი იყო, რომლის უკან
საიდუმლო სამხედრო შეთანხმებას გულისხმობენ
საბჭოთა წინამდევ. თუ ამას დაუმატებთ გერმა-
ნია-იტალიის ანტიკომუნისტურ პაქტს, ცხადია,
კონფლიქტი აზიაში ევროპასაც ითრევს და წინა-
უქმო.

საქმის ასე დატრიალება შეუხებლათ ვერ დას-
ტოვებს, რა თქმა უნდა, ინგლის, რომლის ფეხები
ევროპაშია დაბჯენილი, მაგრამ მკლავები შორსაა
გადახლართული ხმელეთის ყველა ნაწილებთან. აბე-
სინიის იტალიის მიერ დაპყრობამ და, როგორც შე-
დეგი, გერმანიის მიერ ვერსალის შემზღუდავ პირო-
ბების ცალმხრივ გაუქმებამ აიძულა ბოლშევიკის
მთავრობა მეტი აქტივობა გამოეჩინა არსებულ
მდგომარეობის უზრუნველსაყოფელათ როგორც
თავის იმპერიაში, ისე ევროპაში. თუ დიდი ომის
წინა დღეებში გრეის ორტოფმა პოლიტიკამ კატას-
ტროფა გარდაუვალი გახადა, იდენი ცდილობს თა-
ვიდან აიშოროს ეს შეცდომა და აშკარად ამცნევს
ქვეყნიერებას, რომ ინგლისი გვერდში ამოუდგება
საფრანგეთსა და ბელგიას, თუ ვინცობაა მათ უმი-
ზეზოთ თავს დაესხა გერმანია, თუმცა განმეორებით
ხაზს უსვობს, რომ ინგლისი მზათაა გერმანიას მიეკე-
დლოს, თუ მას დაესხა საფრანგეთი.

ეს პოზიცია ერთხელ კიდევ აყენებს კითხვას და-
სავლეთის დაზავებაზე ახალი ლოკარნოს დადებით,
თუმცა პირობები იგივე არაა, რაც 1926 წ. იყო, და
ძალიან საეჭვოა, მაშასადამე. ამის მიღწევა. ამით
აიხსნება განსაკუთრებული წომები, რომელსაც ინ-
გლისი იღებს თავის სამხედრო ძალების გასადიდებ-
ლათ. ამავე გზას მისდევს საფრანგეთი, ხოლო რაც
შეეხება გერმანიასა და იტალიას, მათი არაჩვეულებ-
ურივე სამზადისი ხომ ისედაც ფაქტი იყო და არის.

ინგლისის დაახლოებას საფრანგეთთან წინ მიუ-
ძღოდა პოლონეთის დაახლოება უკანასკნელთან და

მათი სამხედრო კავშირის განახლება. ბეკის სტუმ-
რობამ ლონდონში აშკარად დაანახა ყველას პოლო-
ნეთის როლი ევროპის საქმეებში, როგორც დიდი
სახელმწიფოსი.

ამას თუ დაუმატებთ რუზველტის გამარჯვებას
ჩრდილო ამერიკაში და მის საპროგრამო სიტყვას,
ბუენოს-აეროში წარმოთქმულს, ცხადია, რომ ამე-
რიკაც წინამდევია, მზგავსად ინგლის-საფრანგეთ-
პოლონეთისა, მსოფლიოს ორ ბანაკად დაყოფისა
იდეოლოგიური ნიშნის ქვეშ: ერთგან დიქტატორუ-
ლი, მეორესგან დემოკრატიული სახელმწიფოები.
თვითეულ კატეგორიის სახელმწიფოთ არ ეკრძალებ-
ათ, რა თქმა უნდა, ურთიერთი სიმპატია, მაგრამ
აქედან მათი ერთმანეთთან დაპირდაპირება და ში-
ნაურ საქმეებში ჩაბრუნება მიუღებლად არის მიჩნე-
ული.

ორი სხვადასხვა რეჟიმის სახელმწიფოს მიერ
საერთო ენის გამოხახვა, მაგ., ინგლისმა და იტალიამ
შესძლეს, მიუხედავათ მათ დამოკიდებულებათა
უკიდურეს სიმწვავისა კიდევ გუშინ. როგორც სარ-
წმუნო წყაროებიდან იტყობინებთან, მათი შეთანხმე-
ბა ხმელთა შუა ზღვის შესახებ უკვე მიღწეულია და
საცაა პირობასაც მოაწერენ ხელს.

და ეს შეთანხმება მზადდებოდა სწორედ მაშინ,
როცა ინგლისი საშიშ შინაურ კრიზისს განიცდიდა
მთელი თავის იმპერიისათვის. თემთა პალატამ ერთ-
თხელ კიდევ დაამტკიცა, რომ, თუ მეფენი ტახტზედ
სხედან, ქვეყანას პარლამენტი და მის წინაშე პასუ-
ხისმგებელი მთავრობა განაგებენ, აქედან გვირგვი-
ნოსანიც დემოკრატიული ხელისუფლების წინაშე
იხრის ქედს.

ინგლისის და ამერიკის მაგალითმა უკვე გაფან-
ტა ის შემცდარი აზრი, ვითომ დემოკრატიული რე-
ჟიმი განწირულია დაწინაურებულ ქვეყნებში. გასუ-
ლმა წელმა ისიც დაამტკიცა, რომ ამ რეჟიმს მიმზი-
დველი ძალაც არ დაკარგვია, და ეს დაგვანახა მ.ს-
კოვმა, რომელიც დემოკრატიულ დროშის ქვეშ ლა-
მობს თავის შეფარებას!

ამაო ცდაა. საკავშირო საბჭოთა მეტრე ყრილო-
ბის მიერ «უდემოკრატიის» კონსტიტუციის მიღება
მხოლოდ უშნო ხერხია დასავლეთის თვალის ასა-
ხვევად, ნამდვილად კი აკანონებს სტალინის თვით-
მპყრობელობას. სხვა კითხვაა, უშველის თუ არა მას
ეს დაკანონება. საბჭოთა ერები და მთელი მშრომე-
ლი ხალხი მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რადის მოე-
ლება ბოლო საშინელ რეჟიმს; კომპარტიაში უკვე
დაკარგეს რწმენა მის ხანგრძლივობისა; დიქტატორი
ვერ პოულობს დასაყრდნობს თავის ვიწრო წრე-



შიც, ყოველ ნაბიჯზე მკვლელი ელანდება, განმარტოებულია თავისივე დიდებაში.

საგულისხმოდ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა მეგობრობასაც თანდათან ნიადაგი ეცლება. კომუნისტური პარტია ესხმის ბლუმის მთავრობას მარტო იმისათვის, რომ ის არ გადაეშვა ისპანიის და აქედან ვეროპის ომში; ყველამ კარგათ იცის, ვინა სდგას ფრანგთა პოლიტიკურს უკან. იმედგაცრუებულნი სტალინი, ეტყობა, ზურგს აქცევს ხალხოსნურ ფორტს, ეს კი მის დაშლას მოასწავებს და მაშინ? მაგრამ ჯერ კიდევ ამ წელში გამოირკვა ვინ შესცვლის საბჭოებს საფრანგეთისთვის. ესა ძველი მოკავშირე პოლონეთი, რომლის სამხედრო გაძლიერებისთვის ბლუმის მთავრობამ მილიარდები გაიღო.

საბჭოებს თითქო მეორე მოკავშირეც ხელიდან ეცლებათ, ოსმალეთი! უკანასკნელი, საკმაოდ ჩახედული საბჭოთა საქმეებში, ცხადია, კარგათ ამჩნევს მათი აღსასრულის მოახლოებას და ეძებს სხვა ძალებს მოსალოდნელ კატასტროფიდან თავის დასაღწევათ. ესლა უკვე მოსკოვიც ხედავს, რომ მისი «დიდი გამარჯვება» მონტროში მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ანკარამ აშკარად აიღო ლონდონთან დაახლოების ხაზი და მას შემდეგ მას უფრო და უფრო გარკვეული სახე ეძლევა. მარტო ის ფაქტი, რომ სრუტეების განახლებული შეიარაღება ინგლისის ვიკერს მიენდო, ცხად ჰყოფს, თუ როგორ შორს წასულა ამ ორ სახელმწიფოს ინტიმური თანამშრომლობა.

ჩვენ არ შეგვიძლია აქვე არ ვახსენოთ გულისწყრომით საქართველო-უკრაინის ამოშლა სრუტეების ახალი კონვენციიდან, მაგრამ სანუგეშოთ ის მაინც დაგვრჩენია, რომ შავი ზღვა რუსეთის ტბად არ იქცა, და თან ინგლის-ოსმალეთის მეგობრობა, რასაც ალბად იტალიაც მიეკედლება, ხელსაყრელ ვითარებას წარმოადგენს კავკასიის და უკრაინის მომავლისთვის.

ჩაგრულ ერთა სვე-ბედი არც ამ წელში შეჩერებულა გაყინულ წერტილზედ. ეგვიპტემ საესვებით აღადგინა თავისი სუვერენობა, სირია და ლიბანი ამავე გზას დაადგა საფრანგეთთან ხელშეკრულების დადებით. გამოდის, ამ რიგად, არაბთა სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს: ირაკის, ჰეჯას და ამიერიორდანაის სამი ახალი მიემატება! და ეს ხდება მათი მფარველთა, ინგლისის და საფრანგეთის ნებაყოფლობით. შეადარეთ ამას მოსკოვიტების მიერ ამიერ-კავკასიის ერთა «განთავისუფლება უდემოკრატიის» კონსტიტუციით, რომლის თანახმად «ფე-

დერაცია» უქმდება და თვითეული ერთი დიქტატორის უშუალო ყმა ხდება!

ჩვენ აღვნიშნეთ 1936 წლის მთავარი მომენტები და იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ მომავალ 1937 წელს მეტად აწეწილი შემკვიდრება რჩება. 18 წლის ჯაპანეზეთა საყოველთაო მშვიდობიანობისათვის თითქო სრულიად უნაყოფო გამოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ არასდროს ისე მკაცრად არ დაპირდაპირებიან ერთმანეთს ერთი და სახელმწიფონი, როგორც დღეს. ყველა სამშვიდობო ზომები თითქო ამოწურულია, ჯერი ხმალზე მიდგა. შესძლებენ თუ არა ძლიერნი ამა ქვეყნისა ჩარხის ზავისკენ მიტრიალებას?

ამ კითხვაზე ჩვენი სახე მიბრუნებულია მშობელ ერისკენ და გვინდა შევყვიროთ მას: ამინდი ფუჭდება, შეიძლება ქარ-წვიმა მოჰყვეს, მიხედვ შენს ხომალდს, ამართე იალქნები, მოიმარჯვე ნიჩბები... გამარჯვება—აი ჩვენი სახალწლო სურვილი!

სტალინის ახალი კონსტიტუცია


ამ რამდენიმე თვის წინად დიდის ამბით გამოცხადებული იყო საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. პროექტი დაურთავდა ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელთაც თავისი აზრი უნდა გამოეთქვათ და თავისი შენიშვნები გაეკეთებინათ მის შესახებ.

როგორც მოსალოდნელი იყო, იქ, სადაც მოქალაქობრივი გრძნობა სასტიკად არის დევნილი, სად თვით მოქალაქე დაყვანილია საქესპერიმენტო საგნის მდგომარეობამდე და მონურ მორჩილების გამოთქმის გარდა სხვა უფლება ჩამორთმეული აქვს, ქვეყნის მიერ გამოთქმული აზრი და კრიტიკა კონსტიტუციის ავტორის დიდებასა და მონურ ოსანაში გამოიხატა მხოლოდ.

მოქალაქეთა მიერ ამაირად «განხილული» კონსტიტუცია წარედგინა დასამტკიცებლად კავშირის მერვე საგანგებო ყრილობას.

5 ამა დეკემბერს სარედაქციო კომისიის თავმჯდომარემ წარმოუდგინა მერვე ყრილობას კონსტიტუციის საბოლოოდ დამუშავებული პროექტის ტექსტი.

სტალინის მოხსენებიდან ვგებულობთ, რომ სარედაქციო კომისიისა შეუტანია პროექტის ტექსტში 43 შესწორება, რომელთაგან რამდენამდე საყურადღებოდ 6 თუ 7 უნდა ჩაითვალოს, განაცხადა მომხსენებელმა.



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა 43 შესწორება, და მათ შორის ის 6-ე უ-ც, რომელიც სტალინის საყურადღებოდ მიუჩნევია, ნამდვილად ისე უმნიშვნელოა და იმდენად არარად ჰყოფს მიღებულ კონსტიტუციის და მის პირვანდელ პროექტს შორის განსხვავებას, რომ მისი წამოიხვეწილი გაკვირვებით ეკითხება თავის თავს, რაში გამოიხატა პროექტის ის «საყოველთაო განხილვა», რომლის შესახებ საბჭოთა კავშირის გენიოსი მამა-პატრონი, «მსოფლიოს გენიოსი წინამძღოლი» და სხვ. ასე აბოლოვებს თავის მოხსენებას:

«საერთო დასკვნა: კონსტიტუციის შემუშავებასა და მის საბოლოო დამუშავებაში საყოველთაო განხილვა უეჭველად დიდად სასარგებლო გამოდგა».

შემუშავებაში, როგორც ვიცით საზოგადო აზრს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია,—ეს პიროველი სიტყუე,—და საბოლოო დამუშავებაში, კიდეც რომ ვიფიქროთ (ან კი რად უნდა ვიფიქროთ, როდესაც ამის შესახებ კრინტი არსად არ არის დაძრული), რომ სარედაქციო კომისიის სახელით შეტანილ შესწორებათ «საყოველთაო» განხილვის მასალები უდევს საფუძვლად, ამ შემთხვევაშიაც ეს შესწორებები იმდენად უმნიშვნელოა და იმდენად უცვლელს სტოვებს თვით პროექტს, რომ მისი საყოველთაო განხილვის «დიდი სარგებლობა» უნდა ჩაითვალოს მეორე სიტყუედ: პროექტის შედგენაც და მისთვის საბოლოო სახის მიცემაც ერთი ადამიანის ნება იყო.

გნებავთ დარწმუნდეთ? გადაავლეთ თვალი საბჭოთა კავშირის მეორე საგანგებო ყრილობის უკანასკნელ სხდომის ოქმს.

საბჭოთა კავშირის მეორე საგანგებო ყრილობა ხომ ერთგვარი დამფუძნებელი კრებაა, რადგან მის განსახილველად და დასამტკიცებლად იყო შეტანილი 160 მილიონიან ქვეყნის, უფრო ქვეყნების, ძირითადი კანონი, რომელმაც საბოლოო სახე უნდა მისცეს სახელმწიფოს, მის მოქალაქეს, მათ დამოკიდებულობას.

და ასეთი ყრილობის საქმიანობა ასეთს დიად წამს გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ ეს ყრილობა თავის პირველ სხდომაზე ირჩევს სარედაქციო (მხოლოდ სარედაქციოს) კომისიას, და უკანასკნელზე, როდესაც კონსტიტუციის ვითომდა შესწორებულ ტექსტს წარუდგენენ და კომისიის თავმჯდომარე, «ბრძენთა-ბრძენი», თავის ულაზათო მოხსენებას გაუკეთებს, იმაზე უკეთეს ვერაფერს ახერხებს, რომ ყოველ მის სიტყვაზე «ურა» ირიალოს და გულის ამრევ მონურის პირფერობით არა ნაკლებ გულის ამრევ ეპიტეტით შეამკოს თავისი «საყვარელი», «გენიალურ კონსტიტუციის შემქმნელი», «ბელადი», «მამა» და «ბატონი».

განხილვა? სჯა? შესწორება? იქვი რამ?..

ყველა ამის მაგიერად მეორე ყრილობა, ეს ბოლშევიკურ რუსეთის დამფუძნებელი კრება, მოედანზე სავარჯიშოდ გამოყვანილ ჯარის კაცებსავით მწყობრად და უნაკლულად ასრულებს უფროსის კამან-

დას: თავმჯდომარე პროექტის ყოველ მუხლს კენჭს უყრის:

- აქვს ვისმე შესწორება?
- არა.
- მიღებულია ერთხმად.

და ასე ერთხმად, უსიტყვოდ (უკაცრაოდ, ურას ძახილით) იღებს ყრილობა კონსტიტუციის ყველა 146 მუხლს სინემატოგრაფიულის სიჩქარით.

ნამდვილ film documentaire-ად გამოდგებოდა ეს სხდომა, ოღონდ საუბედუროდ ას მეტრსაც ვერ დაიჭერდა.

გამართლდა პროლეტარულ მხატვრულ სიტყვის დიდის პატრონის მ. გორკის წინასწარმეტყველება, «რუსეთი შეიქნება ქვეყნიერობის უბრწყინველესი დემოკრატიკა»-ო, სწერს «ბრავდა» თავის მოწინავეში კონსტიტუციის მიღების მეორე დღეს და თავის მხრით დასძენს: «ჩვენი ძირითადი კანონი ისეა დაშორებული ბურჟუაზიულ კონსტიტუციებს, როგორც ცა მიწას»-ო (ოღონდაც, რომ ჰო!) და ვილაც მაკარენკო მონურ პირფერობას ისე გაუტაცნია, რომ რეტდასხმული სწერს «იხვესტია»-ში: ხუთასი წლის (დალოცვილს ათასი ეთქვა, მისი ნება არ იყო!) შემდეგ ისტორიის სახელმძღვანელოში ნათქვამი იქნება, რომ «კაცობრიობის ისტორია ორ ნაწილად იყოფა: პირველი—სტალინის კონსტიტუციამდე და მეორე—სტალინის კონსტიტუციის შემდგომ».

«რას ინებებთ—რას მიბრძანებთ» კილოზე მწერალი საბჭოელი კალმოსნები არაფრად დაგიდევნ საუკუნოებით დამუშავებულ და გამოკვეთილ მცნებათ, არაფრად მიიჩნიათ მათი დამახინჯება, გარკვეულ შინაარსის სახელებისა და ტერმინების ისეთის მოვლენათათვის მისაკუთრება, რომელნიც პირდაპირ წინამდევობას წარმოადგენენ ამ სახელებსა და ტერმინებში გამოხატულ მცნებების და აზრებისა.

მაგრამ მწერლებს რა ვუსაყვედუროთ, ისინი ხომ «ბატონის» ყურმოჭრილი ყმები არიან და «tel maitre, tel valet». თქვენ ის გაუგონარი ცინიზმი გასინჯეთ, რომლითაც ნახმარია კონსტიტუციაში ნამდვილი დემოკრატიული ტერმინოლოგია საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მონურ ყოფის დასამალავად.

კონსტიტუციის პროექტი თავის დროზე განხილული და ღირსეულად დაფასებული იყო ემიგრანტულ პრესაში (იხ. «ნაწყალობები კონსტიტუცია», ნ. უ. სი «ბრ. ხმა» № № 63-64, და «დამოუკიდებელი საქართველო», № 127).

ჩვენ არ შევუდგებით უკვე დამტკიცებულ კონსტიტუციის მუხლობრივ გარჩევას, არც იმ მალალ სიტყვების რახარუხზე შეეჩერდებით, რომელიც უფრო სამიტინგო გამოსულებს შეეფერება, ვიდრე სახელმწიფოს ძირითად კანონის დამჯდარ განხილვას. გაკვიროთ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს.

«სოციალისტურ საბჭოთა კავშირის საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომელთა ზრდა და გამაგრება მეტატონეთა და კაპიტალისტთა უფლებების გაუქმებისა და პროლეტარიატის დიქტატურის მონაპოვართა შედეგია» (მუხლი მე-2).

შეადარეთ ამას მომცელი მესამე მუხლი:



«მთელი ძალაუფლება საბჭოთა კავშირში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა სახით».

სიტყვების წმინდა წყლის რახარუხი, რადგან ამ ორი მუხლის ამოგდებით კონსტიტუციას ერთი ილტის ოდენი არა დააკლდებოდა რა.

ან აიღეთ მუხლი 118: «საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა აქვთ შრომის უფლება, ე. ი. უფლება სამუშევარის მიღებისა (არა მოთხოვნისა)... შრომის უფლება უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტურ მოგვარებით, საბჭოთა მოსახლეობის ნაყოფიერ ძალთა შეუჩერებელ ზრდით, მეურნეობაში კრიზისების შესაძლებლობის აცილებით და უმუშევრობის ლიკვიდაციით». აქ უკვე რახარუხი წრეს არის გადასული და იმეორებს იმ ტრადიციას და ცრუ დაპირებებს, რომლითაც სავსეა საბჭოთა რუსეთის 19 წლის ისტორია და რომლის სიცრუეს ლაღადებს საბჭოთა გამოუთქმელი სიღარიბე და ცხოვრების აუტანელი პირობები.

სანიშნოდ ესეც კმარა. ბოლშევიკური ტრადიციი და რახარუხი არ შეადგენს ამ წერილის საგანს. მთავარი სულ სხვაა. როგორც ზემოდ იყონათქვამი, ბოლშევიკურმა პრესამ ახალი კონსტიტუცია უდემოკრატიესად მონათლა.

დემოკრატიული პრინციპები დიდის ხნიდგან არიან ჩამოყალიბებული. ეს არის უპირველესად ყოვლისა ყოველნაირი სამოქალაქო თავისუფლება: თავისუფლება, ანუ ხელშეუხებლობა, მოქალაქის პიროვნებისა, თავისუფლება მისი სინიდიისა, სიტყვისა და კალმისა, თანასწორობა კანონის წინაშე და თანასწორობა უფლებიანობა სახელმწიფო საკანონმდებლო აპარატის მოწყობაში.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დამწერს თითქო არცერთი ამ დებულებათაგანი არ გამოარჩენია. მუხ. 123 ანიჭებს კავშირის მოქალაქეთა თანასწორობას ყოველსავე დარგში; მუხ. 124—სინიდიის თავისუფლებას; მუხ. 125—სიტყვის, წერის, ყრილობების და ქუჩაში სადემონსტრაციოთ გამოხატვისას; მეტსაც, ამ მუხლში დასახელებულ უფლებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ესმარება კიდევ მშრომელთ სტამბების, საჭირო ქალაქის, საზოგადო შენობების და ქუჩების დათმობით და ყოველივე სხვა საჭიროების დაკმაყოფილებით. ბოლოს, 134, 135 და 139 მუხლები ანიჭებენ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, რჯულისა, განათლებისა, ბინადრობისა, სოციალურ შთამომავლობისა და მიუხედავად წარსულ მოღვაწეობისა, ყოველნაირ დეპუტატების არჩენის უფლებას, ხოლო არჩევნების უფლება საყოველთაოა, თანასწორი, პირდაპირი და ფარული.

როგორც ხედავთ, არცერთი დემოკრატიული პრინციპი და წესი არ არის გამოტოვებული. მართალია, არ არის ნახსენები პროპორციულ არჩევნების წესი, მაგრამ უნიტარულ პარტიის სამფლობელოში პროპორციული არჩევნები რა მოსატანია.

საბჭოთა კავშირი ხომ თერთმეტ «თანასწორ-უფლებიან» «თავისნებით» გაერთიანებულ სახელმ-

წიფოს კავშირია (მ. 13). ამიტომ ყოველ ამ 11 სახელმწიფოთაგანს აქვს თავისი კონსტიტუცია (მ. 16), და ყოველი მათგანი «თავისუფალია თავი გაანებოს და გამოეყოს» საბჭოთა კავშირს (მ. 17).

ამაზე უფრო დემოკრატიულისა და თავისუფლის სახელმწიფოს. ამაზე უფრო სრულისა და ბედნიერის გაერთიანების ორგანიზაციის წარმოდგენაც კი ძნელი იქნებოდა, რომ... რომ სტალინის სახელმწიფოებრივ შემოქმედების ნაყოფს სიცრუისა და მაცდურობის ბეჭედი არ ესვას.

არა ვინმე ორატორი თავის საჯარო სიტყვაში, არა ვინმე მწერალი თავის საგანგებო წერილში, არამედ საბჭოთა კავშირის ძირითადი კანონი, მისი სახელმწიფო კონსტიტუცია აღიარებს კომუნისტურ პარტიას 126 მუხლში მშრომელთა მოწინავე რაზმად სოციალისტურ წყობილების განვითარებაში. ძირითად კანონში კომუნ. პარტიის მიმართ ამ სახით სამადლობელო რესკრიპტის ჩართობას თქვენი ჭირი წაუღია, უარესი ის არის, რომ იგივე მუხლი ამ პარტიას ანიჭებს მშრომელთა ყველა ორგანიზაციების, საზოგადოებრივსა თუ სახელმწიფოს, მეთაურობისა და ხელმძღვანელობის უპირატეს უფლებას.


მოქალაქეთ უფლებათა აქვთ დააარსონ ყოველნაირი საზოგადოება,—პროფესიონალური, კოოპერატიული, სპორტული და სხვა, მხოლოდ პოლიტიკურად, სახელმწიფო ცხოვრებაში მათთვის სავალდებულოა იხელმძღვანელონ კომუნისტურ პარტიის კარნახით და ბრძანებით: პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ე. ი. ბატონობა, ეკუთვნის კომუნისტურ პარტიას და მხოლოდ მას,—მოქალაქეთა 99 პროცენტსა და ეყმოს და ემონოს 1 პროცენტს.

ამრიგად, ერთის კალმის მოსმით, ასორმოცდაექვს მუხლში ერთის, მე-126, მუხლის მოთავსებით ყველა თავისუფლებანი, ყველა დემოკრატიული პრინციპები ყინულზე დაწერილად ხდება, ენუქას ანდერძად იქცევა. და რომ იქ, შინ, კომუნისტურ დიქტატურის ქუსლ ქვეშ მოქცეულ კავშირში ამის იქვიც არავის დარჩეს, ოფიციალი «პრავდა» წინდწინვე აფრთხილებს მოქალაქეთ: «თავისუფლება მყარდება არა ბურჟუაზიის გადარჩენილ აგენტებისათვის».

ყოველ კანონის ბუნებრივი თვისებაა გამოცხადებისათანავე ამუშავდეს; დაუყოვნებლივ გამოიყენოს და ისარგებლოს, ვისაც სჭირია და გამოადგება, განსაკუთრებით, როდესაც კანონი პოლიტიკურ უფლებას ესება.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ნ-ს ამ თვეს დამტკიცდა. გამოვიდა მეორე დღესვე რამე ახალი, არაკომუნისტური გაზეთი? წერის თავისუფლება კომუნისტურს ხომ არ ეჭვირებოდა? გაისმა რამე ახალი, არაკომუნისტური სიტყვა? კომუნისტური ხომ უწინაც თავისუფალი იყო. მოხდა საზოგადოდ კავშირის ცხოვრებაში ისეთი რამე, რაც ახალი კონსტიტუციის შემოღებას ნიშნავდეს?..

უსაგნო კითხვებია, ტყუილი იმედი, რადგან დიქტატურა პარტიისა, რომელიც დატყვევებული და დამონებული ჰყავს მის ბატონს, უცვლელი რჩება



ახალი კონსტიტუციის ძალით, ხალხ დიქტატურა და თავისუფლება ერთმანეთში მოუთავსებელი მცნებანი არიან; დიქტატურა და დემოკრატიზმი ერთი მეორის უარისმყოფელია.

ახალ კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგაც ამიტომ ყველაფერი ძველებურად რჩება.

(დასასრული შემდეგ ნუმერში)

დარბაისელი.

მაოვნული ღიკსებისათვის

დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. ქვეყანას ვაწყობდით. სხვისი არაფერი გვსურდა. საკუთარს უვლიდით. დოვლათზე დოვლათს ვამატებდით. წარმატებით წინ ვიდოდით. ვარსებობდით, ვცხოვრობდით, ვნეტარებდით, ვტკბებოდით. ბედნიერნი ვიყავით.

მტერს შეშურდა ჩვენი ბედნიერება. შემოგვესია, ავიკლო. ოჯახი დაგვინგრია. კარმიდამო გაგვიპარტახა.

მტერმა სიმრავლით გვძლია. სიმაღლეს ჩვენი იგი ჩვენთან იტანჯვის, ჩვენთვის იბრძვის.

მძიმეა ჩვენი მდგომარეობა. დიდია გაღებულნი მსხვერპლი. მსხვერპლს კიდევ მსხვერპლი ემატება.

ერი იბრძვის. უშრეტია ენერგია მისი, უსაზღვროა სწრაფვა თავისუფლებისადმი. ბრძოლაში ჩამულია ყველა, განურჩევლად სოციალ-პოლიტიკურ, თუ სხვა განსხვავებათა. ყოველი მისხალი მებრძოლის ენერჯის ძვირფასია. იგი მიზანშეწონილად უნდა იქმნეს გამოყენებული. ყველა, ვინც ბრძოლის მთლიანობას ხელს უშლის, მებრძოლთა ურთიერთობას ამწვავებს, მტრის წისკვილზე ასხამს წყალს, სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც წის.

სამშობლოში მთლიანობაა—ფიზიკური, მორალური. იგივე, სამწუხაროდ, არ ითქმის უცხოეთში მყოფ ქართველობაზე.

უბედობამ სამშობლოს მოგვაცილა, უცხოეთში მოგვცა ბინა. ეს უდიდესი უბედურებაა. ქართველისათვის უსამშობლობა მეტად მძიმე ასატანია. იგი ფიზიკურად ჭკნება, მორალურად იტანჯება. ეს გასაგებია. მოთხარეთ ქორფა, აყლორტებული ხე, და აგდეთ შარა გზაზე, იგი ნელ-ნელა ხმობას იწყებს. ამ ფესვებ ამოყრილ ხეს წავავაჯვართ ჩვენ უცხოეთში. აქ ჩვენთვის ყველაფერი უცხოა. ვერ ვხედავთ ხე-ქუჩ თმინ, კეკლუც, სავარდო და სამიანო ქუთაისს. ვერ ვგრძნობთ ჭაღარა ტფილისის დამთრობელ ცხელ სუნთქვას. ვერ ვეზიარებთ მამა დავითის იდუმალობას. მამა პაპათა თავგადასავალს ვერ მოგვითხრობს მრვაველ დროების მოწამე ნელა მოდუნუნე მტკვარი. ვერ ვიხილავთ ქართველ დედას, პატარა დევგმირი გოგი მკერდში რომ ჩაუკრავს და ეალერსება. ვერ ვავიგონებთ ქართველი გლეხის გულწრფელ იმედიან გამარჯობას. არ გვიღიმის სამშობლოს ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი.

დავკარგეთ ის, რაც ჩვენთვის უძვირფასესი, უსავარდესია. ჭეშმარიტად, უაღრესად უბედურნი

ვართ. ეს უბედურება უზარმაზარ ურთს შეუჩერებელი გვცემს თავში. მით უმეტეს გვმართებს სიმხნევე, ერთმანეთის პატივისცემა, დაფასება, გატანა. სამშობლოს სიყვარულმა უნდა დაგვაიწყოს ყოველი წვრილმანი, წარმავალი და ერთი გულით, ერთი სულით, ხელი ხელ ჩაკიდებული უნდა აღვიმართოთ საერთო მტრის წინააღმდეგ.

უნაკლო და შეუტოდომელი არავინაა. არ ცდება, ვინც არაფერს აკეთებს. მოვლენების და პიროვნებების დაფასება, მოსაწონის მოწონება, დასაწუნის დაწუნება საჭიროც არის და სასარგებლოც. მაგრამ ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს რიგიანობის ფარგლებში, ქართული ღირსების დაცვით, ჩვენი საუკეთესო ტრადიციების განადგობით. ახრთა სხვა და სხვაობა, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში დაჯგუფება სრულებით არ უნდა გვიშლიდეს ხელს, ურთიერთის პატივისცემით ვიყოთ გამსუვალული. ყოველი ეროვნულად მოაზროვნე ქართველი, ყოველი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია ქართულ საქმეს ემსახურება, მისთვის ფიქრობს, მისთვის ზრუნავს. განსხვავებაა გზებში. ერთს ეს გზა მიაჩნია სწორ გზად, მეორეს ის. ამ განსხვავებებში უბედურება არაა. წინააღმდეგ, ჭეშმარიტება მხოლოდ შედარებით გამოიცნობა. დამე რომ არ არსებობდეს, დღეზე წარმოდგენა არ გვექნება. სიკვდილი რომ არ გაჩენილიყო, სიცოცხლეს არავითარი ფასი არ ექნებოდა. მოვლენათა სხვადასხვაობა სიცოცხლის მარჩენებელია. რაც უფრო განვითარებულია ცხოვრება, მით უფრო ძლიერია მისი ფსიქოლოგიური და სოციალ ეკონომიური დიფერენციაცია, მით უფრო მწვავეა მისი შინა ძალების ურთიერთ ბრძოლა. ამ ძალთა ურთიერთობით მოცემული შუა ხაზი გამოხატავს ყოველ აღებულ მომენტში საზოგადოებრივ ჭეშმარიტებას.

ჩვენ ეროვნებათა უმწვავესი ქიშპობის ხანაში ვცხოვრობთ. ვინც წინ არ მიდის, ის შეუძველად უკან მიდის. ერთ დონეზე შეჩერება, როგორც ბუნებრივი, ისე ლოლიკური თვალსაზრისით, წარმოუდგენელია. უკან მსვლელი კი სიცოცხლეს სცილდება და სიკვდილს უახლოვდება. თვით წინსვლა სხვა ერთა მსვლელობასთან შედარებით განისაზღვრება. დღეს ერები სწრაფად ვითარდებიან. მათი მორალური, ინტელექტუალური და სხვა სახის ექსპანსია დიდი ინტენსივობით სწარმოებს.

ჩვენი ეროვნული თვითსახეობის და თვითარსებობის შენარჩუნება-წარმატებისათვის ერის ყველა ძალების მაქსიმალური ამოქმედება საჭირო. ყოველი ქართველი, რომელსაც ქართველობაზე ხელი არ აუღია, ჩვენთვის ძვირფასი უნდა იყოს. მით უმეტეს ყოველი ქართველი მოღვაწე—პატივცემული და დაფასებული. არა მგონია რომელიმე სხვა ქვეყანას ყავდეს ისეთი ტანჯული მოღვაწენი, როგორც ჩვენშია. ნივთიერი უსახსრობა, ციხე, ციხიბირი, კატორღა მათი ჩვეულებრივი ხვედრი იყო. ჩვენში საზოგადო მოღვაწეობის გზაზე შედგამა პირად კეთილდღეობაზე ხელის აღება იყო და არის. აბსოლუტურად უანგაროდ, მხოლოდ ხალასი იდევით და რწმენით აღჭურვილი,— რომ ის საერო საქმეს ემსახურე-



ბა, ქართველ მოღვაწეს მიაქვს მთელი თავისი მორალური და ფიზიკური ძალა საერთო საქმის სამსხვერპლოზე.

მრავალტანჯულია ქართველი ერი, მრავალტანჯულია მისი ინტელიგენცია.

ემიგრანტობა წყლულზე წყლულს გვიმატებს. სამშობლოს მოცილება, ნივთიერი გაქვივრება, მარტობა სუსტს ალანჩებს, გზაკვალს უბნევს, უკარგავს უნარს მტერი მოყვრისგან გარჩიოს, აქვეითებს, ახურდავებს, შლის სულიერად, ფიტავს მორალურად. მას უცხო შვილსა უცხო მხარეში თავს დასტრიალებს სვედათა მთები და მათ მისდევენ გადახლართულნი შავბნელ აზრების ქარავანები. ეს დაავადებული ბუნება ივსება ყოველგვარი წვრილმანობით, ქვენა გრძნობებით, მაღლის სხივი მას არ ეკარება, მხოლოდ დაბალის შმორია მისი სახრდო. «კაცასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების» და ისიც, აღსავსე მარტო ღვარძლითა და გესლით, ანთხევს ირგვლივ ამ შხამს. იწამლება საერთო ატმისფერა, უბედურებას უბედურება ემატება. ასეთები, საბედნიეროდ, ბევრნი არ არიან, მაგრამ ემიგრანტულ ატმოსფერის მოსაშხამავად მცირე რიცხვიც საკმარისია. ეს ანტიეროვნული ელემენტები მოქმედებენ, როგორც სიტყვით, ისე ბეჭდვით. არ თაკილობენ თანამშრომლობას აშკარა ანტიქართულ უცხო გამოცემებშიც კი. მათი მიზანია პასუხისმგებელ ქართველ მოღვაწეთა, რომელთაც ქართულის საქმის გაძღოლა აქ უცხოეთში თვით ხალხის მიერ აქვთ დავალებული, გაბანება, საშვალება კი უკორი, ცილისწამება. ეს გარემოება ყოველმა ქართველმა სათანადოდ უნდა შეაფასოს და მიუძღოს თვითუფს საქმისამებრ მისისა.

ჩვენ განსაკუთრებული ემიგრაცია ვართ. უცხოეთი ჩვენი მიხედვით აფასებს საერთოდ ქართველობას. ჩვენი ვალია ვიყოთ ჩვენი დანიშნულების სიმაღლეზე. ჩვენ ჩვენ თავს არ ვეკუთვნივთ, ჩვენ ვეკუთვნივთ ერს. ერმა ჩვენ ყველაფერი მოგვცა, ჩვენ კი მისთვის არაფერი მივცით. ვეროპანში ვართ, უკულტურეს ქვეყანაში. ამოვიღოთ აქედან, რაც დადებითია. შევიარადღეთ ცოდნით და გამოცდილებით. მაღალზე ვიფიქროთ, წვრილმანს თავი დავანებოთ. რაგინდ დიდი პიროვნება არ უნდა იყოს, თუ მას მუდამ წვრილმანთან აქვს საქმე, უუქველად თვითონაც დაწვრილმანდება. წვრილმანი კაცისთვის კი პორიზონტი დახშულია, იგი ცხვირს იქით ვერ იხედება. მისთვის ცა მუდამ მოღუშულია, მიწა ბნელეთით მოცული. ცხოვრების გზაზე ის უუქველად კისერს მოიტეხს. ვიყვით თვალხილულნი, მაღლის მოტრფიალე, სიწირილმანის დამემობი, ერთმანეთის პატივისმცემელნი, დამფასებელნი და გამტანნი. ვეყვარებოდეთ ურთიერთარს, რათა ერთობით აღვიარებდეთ: მწამს ერთი ღმერთი—თავისუფალი საქართველო. ამას მოითხოვს ჩვენი ეროვნული საქმე, ჩვენი ეროვნული ღირსება.


ილია ნუცუბიძე.

გზინებელი და მგზაველი

თანამედროვე იტალიელებს ერთი აზრი მაგრა ჩაუჯდათ შეგნებაში, სახელდობრ ის, რომ კოლექტიური ზომები მშვიდობიანობისა, თუ თავდაცვისათვის მისტიფიკაციად იქცნენ! საჭირო ხდება ძველ, ნაცად გზებისა და საშუალებების გამოხსნა: მოკეთებთან შეთანხმება და დაკავშირება, უკეთებისაგან განზე დგომა და მათი აღნუსხვა: ეს არის ერთად ერთი თავდები თავის შენახვისა! არავის უნდაო განიარადდეს პირველად—სტევა მუსოლინიმა მილანოში—, ხლო ერთბამად განიარადება შეუძლებელია და აბსურდული!

საიმპერიო ზრახვით განადდება ხდება, მაშასადამე, საკუთარი რისკით, გარნა აქ მაინც არ უნდათ ილუზიებს მიეცნენ: ამჩნევენ, რომ გამოუსადეგი და მანებელია ინგლისთან ხანგრძლივი უძძრახობა, ხლო რადგანაც მასთან კავშირის ცდა ამ ქამად ნაადრევია, აუცილებელი ხდება მორიგება და შეთანხმება მაინც, გამოხანგვა ერთგვარ *modus vivendi*-სა იმ სფეროში, რაიცა იტალიის სახელმწიფო ინტერესებისათვის პირდაპირ საარსებოა! ეს არის ხმელთა შუა ზღვის პრობლემა, ის, რაც მუსოლინიმა დაახსიათა, ვითარცა გზა ინგლისისათვის, ხლო იტალიისათვის სიცოცხლე. მართალია ფაშისტების წინამძღოლის სიტყვის ამ მომენტში ერთგვარი მუქარაც გაისმა, გარნა ეს ყველგან მიიღეს, როგორც ფრანგოლოგიური თანადართი... ინგლისთან მორიგება იტალიის პოლიტიკის დღის წესრიგში დგა!

ამ საკითხს ეხება «il Giornale d'Italia», რომლის რედაქტორი სულ ახლო დგას მთავრობის უფროსთან და დიდი ხანია სამინისტრო კანდიდატადაც ითვლება: «დღეს საჭირო ხდება საკითხის წინ წაწევა და არა გაქვავება ერთს ეპიზოდზე, რაგინდ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ის. ისტორია მუდამ მოძრავია და ერები დროთა ბრუნვაში ასხვაფერებენ დიებებსაც, ნებისყოფასაც, პოლიტიკურ მიმართულებასაც... იტალიამ დაიპყრო და საბოლოოდ მოაქცია თავის სუვერენიტეტის ქვეშ ეთიოპია. თავის დროზე ეს გახდა მიზეზი იტალია-ბრიტანიის აზრთა და პირისპირებისა, მაგრამ იტალია ეხლაც აღიარებს, რომ მისი პოლიტიკა აროდეს ყოფილა და არც მომავალში იქნება მიმართული ბრიტანიის საიმპერიო კანონიურსა და სამშენებლო ინტერესების წინამდეგ, სადაც უნდა იპოვებოდნენ იგინი, დაწყებული ხმელთაშუა ზღვიდან... იტალია აღიარებს ამასთანავე, რომ მას არა აქვს განზრახვა შეეხოს არც სხვა ხმელთაშუა ნაციათა რაიმე ინტერესს... იტალია აწარმოებს ეთიოპიაში გიგანტურ მუშაობას, რისთვისაც საჭირო არის პოლიტიკური ზავი და ფინანსური კეთილმყოფობა... იტალიის სურვილს შეადგენს, გამოიხანგოს საშუალება თანამშრომლობისა დიდ კოლონიალ სახელმწიფოებთან და პირველ ყოვლისა ინგლისთან... უკვე იწყება აქაიქ სხივის მიფენა... ახალი ეკონომიური და კომერციული შეთანხმებანი იტალიასა და ინგლისს შორის ნორმალ კალაპოტში ჩადგენენ,—ამითი მთავრდება სანქციების პერიოდი...»



ამავე დროს ყოველდღიური გამოცემები განაგრძობენ დაუცვრომელად ბოლშევიკურ რუსეთის წინამძღვრ შეტევას. წინა წლების სიჩუმით დაგუბებული ნაღველი ეხლა გადმოხეთქს... ჩეკის ინკვიზიციაზე დამყარებულ რეჟიმის მკაცრი და ფაქტებით გამაგრებული კრიტიკა გაისმის ყოველგან! ბოლშევიზმის მახინჯ სახის გამომჟღავნებამი ვაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებიან... ამბობენ, ეს არის ერთი ნაყოფთაგანი გერმანიასთან დაახლოებისა.

«le Messagero» 8 ნოემბერი (მეთაური): «არისა გამა არის ესოდენი სისასტიკე? რა მიზეზია, რომ ტერორი კიდევ გამუდმებულად მძვინვარებს, მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმი თვრამეტ წელს ამთავრებს? ერთათ ერთი პასუხი გვესახება: იმიტომ, რომ მდგომარეობა რუსეთში დღით დღე უარესდება... მრწველობა უიმედოდ დაცემულია, სოფლის მეურნეობა ვეღარ არჩენს მოსახლეობას, ისედაც გამძვინვარებული ცენტრალ მთავრობის მიერ; არავითარი აღმშენებლობა: ძველ შენობებს გატენილია ხალხით, რომელთაც ჰაერს მეტრებით უზომავენ. ნორმალ პირობებში მცხოვრებთ ვერ შეუძლიან წარმოიდგინონ მუნ არსებული სიბინძურე... ჯამაგირებს მომატების ნაცვლად, უმცირებენ... მიზანი ცხოვრებისა იქ ერთი და აქვთ შერჩენილი: როგორმე თავი დაახწიონ შიმშილს...

... ასევე უკუღმართა საბჭოთა რუსეთის საგარეო მიმართება: ის ებრძვის ყველას, ვინც უარზე დგას საბჭოთა სამოთხეში შესვლაზე! ამ ბრძოლას უზურში უჩნდება სახე ომისა ყოველთა მიმართ: ბოლშევიკური პროპაგანდა მთელს დედამიწის ზურგზე, — ევროპაში, ისევე როგორც ამერიკაში, აზიაში, ისევე როგორც აფრიკეთში... მოსკოვი ამხედრებს მკვიდრთ ევროპის მთავრობების წინამძღვრ. ხოლო ამ აჯანყებებს სრულებით მოულოდნელად ნაციონალიზმის ელფერში ჰმოსავს...

... დაბოლოს საბჭოთა რეჟიმი ეყრდნობა მილიტარულ ძალაზე. ისე, რომ ბოლშევიზმი არ არის მხოლოდ სუბერკაპიტლიზმი, ისიც ბიუროკრატიული და უნაყოფო, — ის არის მილიტარიზმიც. მილიტარიზმი კი ნიშნავს ომს. აუცილებელი არის თავდაცვა და დიდი სიფრთხილე».

«il Tevere» 10 ნოემ. (მეთაური). «... მტკიცდება, მაშასადამე, რომ ესპანიის იმ ნაწილში, რომელიც კვლავ კიდევ ნაციონალისტების მართებლობის ქვეშ იმყოფება, უნდა დაარსებულიყო საბჭოთა რესპუბლიკა, დამოკიდებული ს. ს. რ. კავშირისგან. ირკვევა ესე იგი შესაძლებლობა იმისა, რომ ესპანია უნდა ერთგვარად დამიჯნებოდა საბჭოებს... ბრძოლა ესპანელებს შორის გარდაიქცა ომად ესპანელებსა და რუსებს შორის... ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთი დიდად ირჯება «სოვეტურ» რეჟიმის ექსპანსიისათვის. ესპანიაში ოფიციალად საბჭოების დროშა რომ აღმართულიყო, ევროპის ხალხები იძულებული შეიქმნებოდნენ ზომები მიეღოთ თავის უზრუნველყოფისათვის...»

საბჭოთა მართველობის შემოღება ესპანიაში იქნებოდა ნამდვილი განიავება ამ ერის როგორც იდეალურისა, ასევე სავნობრივი სახეობისა... ეს

იქნებოდა დარღვევა ევროპის წონასწორობისა... ეს მოასწავებდა სრულს დიპლომატიურსა და მილიტარულ აღრევას დასავლეთ ევროპაში»...

«Corriere della sera» 10 ნოემ. (მილანო). «სატანიტურ უკუღმართობაში ჩაფლულ კომუნისტებს ერთი იმედი ლა შერჩენიათ, რომ სხვათა ცხოვრებაც დაშალონ და დაარღვიონ! მათ რა ენაღვლებათ, თუ კაცობრიობა ჩავარდება მიმე მწუხარებაში, ჩაცემა გახრწანაში... რუსული ინფექცია შეიქრა ისეთს ქვეყანებში, რომელთაც აკლდათ პრევენტული ზრუნვა თავის საშველად. ამავე დროს არსებობენ სახელმწიფონი, რომელთაც მოეპოებათ სათანადო საშუალებანი წინააღმდეგენ მოსკოვურ მიკრობებს: იტალია, გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, პოლონეთი, პორტოგალია, იუგოსლავია, ფინლანდია, სულეხლა პოლონდია...»

ინგლისს თავისი მოსაზრებანი აქვს საკუთარ ზრახვათა მიხედვით, რომ იქ მიღვირვლ შხამს ისე უძალიანდება, მაგრამ არც იქ აპირებენ მიეცნენ სალათას ძილს (იტალიურად არის: არ აპირებენ დაიძინონ ორ ბალიშშია)...»

კომუნისტურ დიპლომატიის საქმიანობის გამლარვევას და საზოგადოდ საბჭოთა რუსეთის პირატულ მოქმედების დასურათებას იტალიის ელჩმა გრანდემ ლონდონის «ჩაურველობის კომიტეტის» 12 ნოემბრის სხდომაზე გრძელი სიტყვა მანადომა.

იმავე საღამოს რომში გაზეთები იყიდებოდა ასეთი ძახილით: იტალიისა და გერმანიის დეკლარაციები რუსეთის წინამძღვრ.

რ. ინგილო.

დღევანდელი პოლონეთი

დღევანდელი პოლონეთის მთავარი დამახასიათებელი თვისება — რეალიზმი. ეს რეალობა პოლიტიკისა სხანს და გამოსწვივის ყველგან როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო დარგშია.

თავის საერთაშორისო დამოკიდებულებაში პოლონეთი არ დაეძებს რაიმე ზოგადი სახის წარმავალ ეფექტურ შედეგებს; მისი ნაბიჯები უფრო საღია, ის კმაყოფილდება ამა თუ იმ შემთხვევაში უფრო შემოფარგლული მისწრაფების მიღწევით. თვისი მიზნების განხორციელებას ახერხებს იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი ამ საკითხების გადაჭრაში. ეს რეალისტური პოლიტიკა ნაანდერძეგია გარდაცვილ მარშალის მიერ.

ერთ უმთავრეს საზრუნავ საგნად ომის შემდეგ პოლონეთის პოლიტიკაში იყო თვისი საერთაშორისო მწვავე მდგომარეობის ნორმალიზაცია.

სახელმწიფოები წავიდნენ სხვადასხვა გზით. ზოგიერთმა მეტად საეჭვო ღირებულების გეზი აირჩია. მიზნად დაისახა ყველასი ყველგან საყოველთაო მორიგება საერთო ნიადაგზე. ვიცით, რომ აქედან არა გამოვიდა რა.

პოლონეთი სხვა გზას ვაპყვა და ამ გზამ თვალსაჩინო შედეგებიც მისცა. მას არ იტაცებდა ზოგადი



თეორიები, არამედ უპირველესად ყოვლისა თავის უშუალო მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, მორიგების მიღწევა.

ამ ნიადაგზე უეჭველი დიდი გამარჯვებები პლავა და ევროპის გამწვავებულ მდგომარეობაში ერთგვარი დამშვიდება შეიტანა.

ეს რეალური პოლიტიკა სწორედ იმ დროს იყო წარმოებულ-გატარებული, როდესაც ირგვლივ ყველგან, მთელს ქვეყანაში ათასგვარი ფანტასტიური ოცნება-გეგმებით იყო საერთაშორისო ჰაერი გაქლენილი.

პოლონეთი თავიდანვე გადაჭრით უარჰყოფს ყოველგვარ განუხორციელებელ, სინამდვილეს დაშორებულ საერთაშორისო კომბინაციებში მონაწილეობის მიღებას, რომელთაც სარგებლობის ნაცვლად შეუძლიათ მხოლოდ ზიანი მოუტანონ მას.

მარშალ პილსუდსკის დროიდან ტრადიციად იქცა, რომ მთავრობის სათავეში მდგომნი პირნი უპირველესად და განსაკუთრებით სახელმწიფოს ინტერესებზე ფიქრობენ და იღწვიან.

პოლონეთის შინაგან ცხოვრებასაც ახასიათებს მარშალის ნაანდერძევი დიდი მემკვიდრეობა. რეალში გამოსახანს აქაც ყველაფერი. მხოლოდ საერთო სახელმწიფო ინტერესები ამოძრავებენ ყველას, კერძო ჯგუფური ინტერესები ემორჩილებიან საზოგადოს, მთელი ხალხისას. ამიტომაც არის, რომ არც ერთს ვარეშე ძალას არ შეუძლია ჩაერიოს შინაგან სახელმწიფოს საქმეებში და არეუ-დარევა შეიტანოს.

უდიდესი სიყვარულით ეპყრობა მთელი ერი ისეთს ფაქტორს, რომელიც ყოველგვარ პარტიან-ჯგუფებზე ვარეშე სდგას, რომელიც პოლონეთის სიძლიერის სიმბოლოდ არის გადაქცეული ვარედ და შიგნით—თავის ჯარს. არ მოიპოვება დღეს პოლონეთში არც ერთი მიმართულება ან ჯგუფი ჯარის წინამძღვ.

ჯარი არამც თუ განსაკუთრებული სიყვარულის სავანია, არამედ პირდაპირ თავყანისცემის კულტამდე არის მიღწეული მისდამი დამოკიდებულება. ეს სრულიად ბუნებრივია: პოლონეთს სურს იყოს ძლიერი სახელმწიფო, ხლო მისი სიძლიერის და სიამაყის ქვეკუთხედია მისი ჯარი. ეს ხომ ის ჯარია, რომელიც სულით, ხორციით და შემადგენლობით დაკავშირებულია სამშობლოს განმათავისუფლებლებთან, პოლონეთის უსასინელეს მტერზე რომ ბრწყინვალედ გაიმარჯვეს და მით თავისი ქვეყანა და თვით ევროპის კულტურურა-ცივილიზაციაც გადაარჩინეს.

ჯარის სიყვარულს მრავალი მჭერმეტყველური მოვლენა ამტკიცებს: ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც უბრალო მუშები, ამა თუ იმ დარგში მომუშავენი, ზედმეტს საათებს თავისი შრომისას სამხედრო საქორების საგნებს ანდომებენ უსასყიდლოდ. და ეს ხდება სრულიად ძალდაუტანებლად, ნებაყოფლობით. ხშირად ვაისმის საზოგადოების წრეებში მოწოდებანი ამა თუ იმ საომარ მასალის უფასოდ მისაწოდებლად.

ჯართან ერთად უდიდესი პოპულარობით სარ-

გებლობს თვით მის სათავეში მდგომი გენერალი სმიგლი რიდზ. ისეთი მთაბეჭდილებაა, თითქოს საზოგადოება—ერი ხედავდეს მასში «ძლიერ ადამიანს», მარშალ იოსებ პილსუდსკის მოადგილეს.

პირადი შესანიშნავი თვისებანი გენერალ სმიგლი რიდზისა, პარტია დაჯგუფებთა ვარეშე დგომა, დიდი მორალური სიფაქიზე, ყოველივე ეს იმის საბუთს იძლევა, რომ ერის იმედი გამართლებდა.

აღსანიშნავია დღევანდელი პოლონეთის შემოქმედებ-ენერგიის ვაშლა და სიძლიერე: ვავისენოთ, თუ რა მდგომარეობაში იყო პოლონეთი დამოუკიდებლობის დასაწყისის ხანაში. მსოფლიო ომმა ვაანადგურა და ვაავერანა პოლონეთი, მძიმე იყო მდგომარეობა სამი სხვადასხვა ნაწილისაგან შეკოწიწებულ სახელმწიფოსი, თვითეული ეს ნაწილი საუკუნეზე მეტს სხვადასხვა სახელმწიფოს ვეუთვნოდა და ეკონომიურად თუ სხვა მხრივაც უნებლიედ მათთან დაკავშირებული იყო. საქორი იყო ამ განცალკევებულ ერთეულებისაგან ერთი მთლიანი ორგანიზმის შექმნა. ამას ვარეშე ვაებათა ბოლომე-ყების საშინელი შემოსევა, რომლისგანაც პოლონეთი მარშალ იოსებ პილსუდსკის გენიამ გადაარჩინა.

მეტად მწვავე რთულ პირობებში, ვარედან დაუხმარებლად, თვისი საკუთარი ძალით და გენით პოლონეთი აღსდგა და ვამთელდა. «სეზონურ სახელმწიფოდან», როგორც მას უწოდებდნენ მეგობრები და მტერნიც, ვადიქცა დიდ სახელმწიფოდ. რომელსაც დღეს ვევა ანგარიშს უწევს.

ყოველივე ეს მიეწერება პოლონელ ერის სულის სიმტკიცეს, ცხოველმყოფელობას, მამულიშვილობას და შრომის უნარს.

არაფრისაგან ოდესლაც სრულიად ვავერანებულს ქვეყანაში წარმოიშვა და ვანეთარდა რაციონალური მეურნეობა,—ფუძე ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და სახელმწიფოებრივ სიმტკიცის.

ხანდისხან ვაისმის ხმები მის სახიფათო ვეოგრაფიულ მდგომარეობის შესახებ. ერთგვარ შიშსაც ვამოსთქვამენ ამის ვამო. ეს ხმები და შიში მეტად ვადაუარებელია. მართალია ვეოგრაფიული მდგომარეობა პოლონეთისა არ არის მაინდამანიც სახარბიელო, მაგრამ ვანა ბევრია ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდეს ხელსაყრელი ვეოგრაფიული მდგომარეობა? საშიშროებას წარმოადვენს ხალხის ფსიქიკის დაცემა, შიშის გრძნობით შეპყრობა. ეს კი პოლონეთს არ ახასიათებს, ის ვაბედულად და რწმენით უყურებს თავის მომავალს და იცის, რომ საკუთარ ძალით და თვდადებით დასძლევს ყოველსავე საფრთხეს და დაბრკოლებას.

ამიტომაც არის, რომ არ მიყვება არავითარ უდღეურ საეჭვო საერთაშორისო კომბინაციებს და კავშირებს, არამედ, როგორც ეს შეპყრის ძლიერ სახელმწიფოს, აწარმოებს საკუთარ საღს პოლიტიკას.

მისი ვეოგრაფიული მდებარეობა ისეთი არის, რომ ვანსაკუთრებულ მნიშვნელობის მქონეა ის აღმოსავლეთ ევროპაში და უდიდესი როლი აქვს მი-

კუთვნიებული მომავალ ისტორიულ მოვლენათა გა-
დაწყვეტაში. პოლონეთის ძლიერება და მისი რეა-
ლიზმი სრულს გარანტიას იძლევა, რომ ამ თავის
დიალ ისტორიულს როლს ის ღირსეულად შეასრუ-
ლებს.

დ. შ.

ვარშავა.

წიკრილი ამერიკიდან

ალბად ყოველ ერს აქვს სათუთი, ბრწყინვალე
დღეობა (რელიგიოზურის გარდა). ერისათვის ეს
არის ვისიმე უღლიდან განთავისუფლება, დამოუკი-
დებლობის აღდგენა, როგორც ჩვენთვის 26 მაისია
—სიმბოლო თავისუფლებისა, მეორისთვის ან რე-
ვოლუციის თავია, ან ველზე გამარჯვება, და სხვა...

დღეობები და დღესასწაულები ერთგვარი სარ-
კეა ერის ისტორიისა, ამიტომ ზედმეტი არ იქნება
მოკლედ თვალი გადავაგლოთ ამ მოვლენას.

ამერიკელები უქმობენ რამდენიმე ღირსშესანი-
შნავ დღეს. მაგალითად, გასულ ოქტომბერს თორ-
მეტს, დიდი დღე იყო მთელი ამერიკისთვის. ეს იყო
ქრისტეფორე კოლუმბის დღე. 1492 წ. კოლუმბმა
გზა გაუხსნა ევროპელებს ამერიკისკენ. მართალია,
კოლუმბს არც კი დაუდგამს ფეხი ამერიკის კონტი-
ნენტზე, ნამდვილად იგი ესტუმრა მხოლოდ ამე-
რიკის მახლობელ კუნძულებს—კუბას, ჰაიტის და
სხვას, მაგრამ ამით მისი მნიშვნელობა არ მცირდებ-
ა, რადგან გზა უჩვენა მთელ რიგ მნიშვნელოვან
მოგზაურს და ამით ამერიკა დღევანდელ მდგომარე-
ობამდე მიიყვანა.

1497 წელს ესტუმრა ჩრდილო ამერიკის კონტი-
ნენტს იტალიელი ჯონი კაბოტი ინგლისის ბაირა-
ლით. ეს მოვლენა ისტორიაში მეტად მნიშვნელო-
ვანი გამოდგა, რადგან ინგლისმა ამის მეოხებით პა-
ტრონობა დაუწყო ამერიკას. კაბოტმა ინგლისის
მეფისგან ათი გირვანჯა სტერლინგი მიიღო საჩუქ-
რად.

ამერიკის ისტორია ამბობს, რომ ხუთასი წლის
წინედ კოლუმბის მოგზაურობამდე ამერიკას ესტუ-
მრენ სკანდინავიელი მეზღვაურები ლეიფი ერიკსო-
ნის წინამძღოლობით, რომელთა მოსვლა უშედე-
გო გამოდგა, რადგან არავის გაუგრძელებია მათი
შრომა და მერე კი ყველას დაავიწყდა. თვით კო-
ლუმბმაც არ იცოდა მათი ამბავი.

1501 წელში ჩრდილო ამერიკას ესტუმრა ფლო-
რენციელი მოგზაური ამერიკო ვესპუჩი. რომელ-
მაც დიდი გადაჭარბებით და ფანტასტიურად აღწე-
რა ეს ახალი ქვეყანა და მისი სიმდიდრე. ამან მისი
მკითხველნი განცვიფრებაში მოიყვანა.

1507 წელში გერმანელმა პროფესორმა მარტინ
ვალდსი მიუღერმა გამოაქვეყნა გეოგრაფიის წიგნი,
სადაც ის ურჩევდა ამ ახალ ქვეყანას ამერიკა წოდებ-
ოდა «მისი ამწერის პატენსაცემად», რაც აღსრუ-
ლდა. რასაკვირველია, უფრო სამართლიანი იქნებო-
და, რომ ამერიკას—კოლუმბია დარქმეოდა...

გასულ 26 ნოემბერს მთელმა შეერთებულმა

შტატებმა დიდი პომპით და განსაკუთრებით იდე-
სასწაულა ეგრედ წოდებული «სამადლობელი დღე».
ეს ჩვეულება დაიწყო 1621 წელს, როცა ახალ მოსულ
პილიგრიმებმა იდეხსასწაულეს პირველი მოსავა-
ლის მოკრეფა. პილიგრიმები იყვნენ ინგლისიდან
გადახვეწილნი. რელიგიურად და პოლიტიკურად
დევნილნი პირველად გაემგზავრნენ პოლანდიაში,
საიდანაც რვა წლის მერე ჩამოვიდნენ ამერიკაში.
იმ დროიდან ამ სამადლობლო დღეს ყოველ წელი-
წადს უქმობენ და ზეიმით დღესასწაულობენ. საკვი-
რველია, ეს დღე კონგრესის მიერ არ არის დაკანო-
ნებული სამუდამოდ, როგორც დანარჩენი სხვა უქმე
დღეები, არამედ ყოველ წელს თვით შეერთებულ
შტატების პრეზიდენტი კოლუმბიისთვის და დანა-
რჩენ შტატებისთვის გუბერნატორები წინდაწინ აც-
ხადებენ ნოემბრის უკანასკნელ ხუთშაბათს უქმედ,
რომ მადლობა შესწირონ განგებას გასული წლის
სიკეთესთვის...

ამბობენ, რომ პილიგრიმებს თავის მიერ დამუ-
შავებულ მოსავლთან ერთად მრავალი გარეული
ინდოურები ჰქონდათ სამუდამად პირველ სამა-
ლობლო ზეიმზე, ამიტომ დღეს ამერიკელებს
ჩვეულებად აქვთ, ვისაც შეუძლია, უქვეყლად ჰქონ-
დეს ინდოური, რასაკვირველია, შინაური, რადგან
გარეული უკვე ამოწყვეტილია. ეს ტრადიცია ისე
მტკიცეა, რომ ყოველი ამერიკელი დიდ ღონეს ხმა-
რობს, სადაც არ იყოს ამ დღეს რამეფრად ინდოური
იგემოს, თუნდაც ამით რამე სხვა უფრო საპირა და-
აკლდეს...

მართლაც, ამერიკელებს სამადლობელი ბევრი
აქვთ. პირველად ყოვლისა გეოგრაფიულმა მდგომარე-
ობამ უდიდესი სამსახური გაუწია. თუ თვითონ
არ უნდათ, ომი არ სჭირდებათ, იძულებულნი არ
არიან, არავინ თავს არ ესხმის. თუ ვინმემ თავხედო-
ბა გამოიჩინა,—მოგერიება ადვილია.

მეორედ, ბუნებრივი სიმდიდრე და სივრცე ხელს
უწყობს თითქმის დამოუკიდებლად იცხოვრონ... ამ
ორი საფუძვლით როგორც წარსული ისე აწმყო და-
მაკმაყოფილებელია. მომავალი კი უშიშარი და უზ-
რუნველყოფილია...

მოვისხენიებთ კიდევ ორიდღე დღესასწაულს:
ოთხი ივლისი—დამოუკიდებლობის დღე (ინგლი-
სისაგან განთავისუფლება 1776 წელში). ეს დამოუკი-
დებლობა ისე უზრუნველყოფილია, რომ ძველის
სხენება დღეს არავის აწუხებს, იარას არ უხსნის,
არც ამერიკელს და არც ინგლისელს. ეს დღე მხო-
ლოდ ტრადიციაა. და ძველ ბრძოლას მოგაგონებთ
მხოლოდ ახალგაზდების ხმაურობა ქუჩაში. ამ დღეს,
მიუხედავად მთავრობის აკრძალვისა (რადგან დიდი
მარცხი მოსდევს) აუარებელი შუშუნა და თოფის
წამალი იწვება მოზდილებს და ბავშვების მიერ...

საკვირველია, რომ ამ დიდ კაპიტალისტურ-
ბურჟუაზიულ ქვეყანაში «მუშის დღეს» დღესასწაუ-
ლობენ. ეს ხდება სექტემბრის პირველ ორშაბათს.
1882 წ. მუშათა ორგანიზაციის ინიციატივით დაწე-
სებული ეს დღე არ არის მსგავსი მღელვარე პირველ
მაისისა ევროპიელ მუშათა მოძრაობაში, არამედ
სოლიდარობის, დასვენების დღეა მდიდარ-ღარიბ-

სთვის. დღეს ეს კანონიერი უქმეა და ერთგვარი სიმბოლო ენერჯის, მუშაობისა, რამაც ამერიკა ეკონომიურად ყველაზე წინ წასწია...

ბოლოს ავნიშნათ ორი პიროვნების დღესასწაული—ვაშინგტონისა და ლინკოლნის.

ჯორჯი ვაშინგტონის დაბადების დღეს 22 თებერვალს დღესასწაულობენ. ის მამა მთავარია შეერთებულ შტატებისა. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ჯარის წინამძღოლი და პირველი პრეზიდენტი, ის იყო, მიუხედავად მისი სიმდიდრისა, ნამდვილი დემოკრატი. მას ყველაფერი ხელს უწყობდა თავის პრეზიდენტობა გაეგრძელებინა. ორჯერ ოთხი წლიანი ვადის შესრულების მერე მან გადაჭრით უარი განაცხადა მესამედ თავის კანდიდატურის წამოყენებაზე. იმ დროიდან ეს ჩვეულებად გადაიქცა და შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ორი ვადის ვათავების შემდეგ ამ დიდ თანამდებობაზე არ თანხმდება, თუმცა კანონი არ უკრძალავს. უკვე ცნობებია, რომ პრეზიდენტი რუზველტი ამ ტრადიციას არ დაარღვევს და თავის მეორე ვადის გათავებისას 1941 წელში მესამედ თავის კანდიდატურას არ წამოაყენებს.

მეორე დიდი ბუნებრივი დემოკრატი იყო აბრაჰამი ლინკოლნი, რომლის დღეობას შეერთებული შტატები უქმობს 12 თებერვალს. ამ ღარიბი ოჯახის შვილმა, უფანჯარო ქოხში დაბადებულმა, მთელი ცოდნა-განათლება სკოლის გარედ მიიღო. ჰუმანისტი და ემანციპატორი ადრე იწყებს ბრძოლას ჩაგრულთათვის, განსაკუთრებით ნეგრების ყმობიდან განსათავისუფლებლად, რომელთა სამხრეთის ბატონები ფლობდნენ და თამბაქო-ბამბის პლანტაციებში ამუშავებდნენ. ამან, ლინკოლნის სამწუხარბაროდ, სამოქალაქო ომი გამოიწვია—სამხრეთ და ჩრდილო შტატები ერთმანეთს შეეჯახა. ლინკოლნი ამას არ შეუშინდა—ბატონყმობის მოძხრე სამხრეთი დაამარცხა, რასაც ნეგრების განთავისუფლება მოჰყვა...

სტალინის «უდიდესი» და უდემოკრატიული კონსტიტუცია მთელ მსოფლიოში—აქ სერიოზულად არავის მიუღია. არავის სჯერა, რომ მგელი ბატკანის ქურქში ისევ მგელი არ დარჩება.

«ნიუორკი ტაიმსის» კორესპონდენტი ჰაროლდი დენნი მოსკოვიდან იტყობინება (25 ნოემბერი): «ახალი კონსტიტუციის სიტყვის თავისუფლება არავის წაახალისებს აქ ისე, რომ მოსკოვის წითელ მოედანზე მაღლა ავიდეს და სიტყვა წარმოსთქვას... საბჭოების პასუხისმგებელ პირებს არა ერთჯერ უთქვამთ და განუმარტავთ, რომ თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა და კრებისა ისე არ უნდა მივიღოთ, როგორც ეს ჩვენ ამერიკაში გვესმისო».

დენნის მოყავს საბჭოების პროკურორის თანამეწე რ. პ. კატანიანის წერილი, სადაც ეს უკანასკნელი განმარტავს კონსტიტუციას: «ჩვენ მივეციოთ სიტყვის და კრების თავისუფლება ყველას, გარდა უკუაშეშლილთა და ავანჯებისაო. ყოვლად შეუძლებელია სიტყვის და კრების თავისუფლება მიეცეს შემლილს და ავანჯს, როგორც არიან მონარქის-

ტები, მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები. სასაცილო იქნებოდა, ნება მიგვეცა ხალხისთვის, რომ ეტარებინათ ქუჩაში მეფის დროშები და ემღერათ «ღმერთო დიდავი მეფეო». ანდა გიჟობა იქნებოდა, წარმოვიდგინოთ, რომ მენშევიკებს და სოციალისტ-რევოლუციონერებს შეეძლებათ ილაპარაკონ ჩვენს დარბაზებში, რომ ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ უკან სოციალიზმიდან კაპიტალიზმსო».

დენნი განაგრძობს: «კატანიანი და სხვა პასუხისმგებელი კომუნისტები აშკარად ამბობენ, რომ სიტყვის თავისუფლება იქნება მუშა ხალხის სასარგებლოდ, სოციალისტურ რეჟიმის გასამაგრებლად და ამის მსჯავრის დამდები კი მხოლოდ კომუნისტები იქნებიანო»...

ამერიკის პრესა ერთხმად ამბობს: ვიცოცხლოთ და ვნახათო»...


ნაურო.

ბერლინი და მოსკოვი

მაშინ, როდესაც მოსკოვის დიქტატორები თავის ტენაში იყვნენ, დაეგრიტათ თუ არა უმწეო და წამებისგან არაქათ გაცლილი გერმანელი ინჟინერი, რომელიც როგორც ბოლშევიზანის სოციალდემოკრატი რამდენიმე წლის წინ მივიდა «სოციალისტურ სამშობლოში» და ამდენხანს ერთგულად ემსახურებოდა მას,—ამავე წუთებში (იმავე 25 ნოემბერს!) ბერლინი ისკვნებოდა უაღრესი მსოფლიო მნიშვნელობის კვანძი: «გერმანია იაპონიის ხელშეკრულება კომინტერნის წინამდევ». ორი ძლიერი სახელმწიფო შეკავშირდა, რათა შეთანხმებულად ებრძოლონ კომინტერნის მუშაობას მათი ქვეყნების ინტერესების წინამდევ აღმოსავლეთში თუ დასავლეთში. ისინი მოუწოდებდნენ ყველა სხვა სახელმწიფოს, შეუერთდნენ ამ კავშირს. გაუგონარი ამბავია! ორი უზარმაზარი სახელმწიფო ჰკრავს დიპლომატიურ ხელშეკრულებას და კავშირს არა მესამესგან ან მესამეთა კოალიციისგან თავის დასაცავად, არამედ რაღაც «საპროპაგანდა» დაწესებულების წინამდევ. რაშია საქმე? ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რაშიც არის: რომ კომინტერნი მართლ საპროპაგანდა დაწესებულება არ არის, რომ მის განკარგულებაში ერთი მაქლსაჯუნა სახელმწიფოს უზარმაზარი ჯარი და პოლიცია, მთელი ფული და იარაღი იმყოფება. ამათგან იცავენ თავს გერმანია და იაპონია. კრემლი შეშფოთდა. მან მყისვე მიაშურა ყვითელ მეზობელს (ბერლინს აღარ სწყალობს!): «ეგ რა ჰქენით? ჩვენს წინამდევ ხელშეკრულებად ჩამოაგდეთო?»

—«როგორ თუ თქვენს წინამდევ—უპასუხებს მოსკოვის ელჩს იურთვევს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი არიტა—«აკი თქვენს მთავრობას, თქვინივე მრავალგვარი განცხადებით, კომინტერთან საერთო არაფერი აქვს?» ეს პასუხი მთელმა გერმანულმა პრესამაც ჩინებულად იცნო.

«ეს სწორედ კოლუმბისეული კვერცხია,—სწერდა პაულ შეფფერი «ბერლინერ ტაგებლათ»-ში—ად-



სანიშნავია, რომ ის წინედ ვერ აღმოაჩინეს... გერმანია-იაპონიის ხელშეკრულებაში საბჭოთა მთავრობა ერთი სიტყვიტაც არ არის ნახსენები... იქ მხოლოდ კომინტერნზეა ლაპარაკი. კომინტერნი არის მებრძოლი კოლპერაცია ბურჟუაზიული ეკონომიკის და კულტურის აღმოსაფხვრელად. ბრძოლას კი ყოველმა სრულ ჭკუაზედ მყოფმა ბრძოლითვე უნდა უბასუხოს. საბჭოთა მთავრობას არა აქვს იოტის ოდენა უფლებაც ნაწყენი იყოს, ვინაიდან მას «კომინტერნთან საერთო არაფერი აქვს». იხილეთ მისივე განცხადებები».

ამასობაში იაპონიამ თავის ტერიტორიაზე ინტურისტი აკრძალა, ეს ფაქტიურად კომინტერნის დაწესებულება არისო. მაგრამ საქმე ინტურისტიტაც არ თავდება. იაპონიის მთავრობა უკვე თავის პირველსავე ოფიციალურ განმარტებაში ბერლინტოკიოს ხელშეკრულების შესახებ აშკარად და ყველასათვის გასაგონად აცხადებს: ჩინეთში და ნაწილობრივ მანჯურიაშიც, სინკიანგში (აღმოსავლეთი თურქესტანი, რომელიც ფორმალურად ჩინეთის პროვინციაა, ფაქტიურად ჯერ რამდენიმე წელია მოსკოვის ხელშია) და გარეშე მონგოლეთში კომინტერნის ჯარები გვაწუხებენო. ასე ახილად ალბად იშვიათად თუ ულაპარაკია რომელიმე დიპლომატს! არა თუ თვით იაპონიაში და მანჯურიაში პროვოკაციების შეწყვეტა, არამედ გასვლა მთელი ჩინეთიდან, თვით აღმოსავლეთ თურქესტანისა და გარეშე მონგოლეთიდან (რომელიც მოსკოვს 14 წელია დაპყრობილი აქვს!)—აი რას უკარნახებდნენ მოსკოვს! გერმანია იაპონიას მხარს უჭერს და მოუწოდებს თავის მხრივ ევროპის ქვეყნებს, «აღკვეთონ ევროპაში კომინტერნის ბელზებლური მოღვაწეობა». ასეთი მოწოდება გაისმის ყველა იმ განცხადებაში, რომელიც ბერლინტოკიოს ხელშეკრულების შესახებ გერმანიის მხრივ გაკეთებულ იქნენ: მეთაურის განცხადებაში, რომელიც გებელსმა გადასცა რადიოს; ამვე გებელსის სიტყვაში, რომელიც მან 27 ნოემბერს ლიუდვიგს ჰაფენში წარმოსთქვა და სხვა პრომანეტების სიტყვებში.

«მეთაური არის დღეს არა მარტო გერმანელი ერის მეთაური—ამბობდა გებელსი—არამედ ევროპის სულიერად გამდიდებელი... 14 წლის განმავლობაში ვიძახდით ჩვენ: «გერმანიავე, გაიღვიძე!» მაშინ ჩვენ დავგვირდინეთ და გვკილაგდენ; მაგრამ გერმანია დღეს გამოღვიძებულია. და თუ ჩვენ დღეს ცივილიზაციურ ერებს გაფრთხილების ძახილით მივმართავთ, ეს ძახილია: «ევროპავე, გაიღვიძე!»

ბერლინტოკიოს ხელშეკრულებამაც—ისევე როგორც წინედ ბერლინტოკისამ—ბევრი მითქმამოთქმა და ექვები გამოიწვია მოსახლურე ქვეყნებში. ამით საპასუხოდ რამდენიმე სიტყვა იქნა გერმანიის პოლიტიკის ხელმძღვანელების მიერ წარმოთქმული. ყველაზე უფრო ვრცლად შეეხა ამ მითქმა-მოთქმას მეთაურის მოადგილე, მინისტრი რუდოლფ ჰესსი თავის სიტყვაში, რომელიც მან 29 ნოემბერს ქ. ვოსლარში, ე. წ. გლენთა ყრილობაზე წარმოსთქვა. ჰესსი შეებრძოლა აზრს, თითქოს ბერლინტოკიოს პაქტი ომის საშიშროებას წარადიდეს. მისი აზრით

მოსკოვი ემუქრებოდა ბერლინს და აღმოსავლეთსაც. ამ პაქტის შემდეგ კი მოსკოვი შედარებით მაინც უფრო ფრთხილად იქნება. მაშასადამე პაქტი ომის საშიშროებას ამცირებსო. კიდევ უფრო ენერგიულად შეებრძოლა ჰესსი ექვებს, თითქოს გერმანია «ფაშისტურ» სახელმწიფოების ბლოკს კრავდეს დემოკრატიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

«ჩვენ გვსურს არა დანაწილება და დაპირდაპირება სხვადასხვა ერების—ამბობდა ის—არამედ პირიქით მათი შეკავშირება მათი მართველობის ფორმათა მიუხედავად. ჩვენ გვსურს ერთა შეკავშირება იმათ მოსაგებლად, რომელიც მეტად ხშირად აცხადებენ თავის მიზნად სხვა ერებში ცეცხლით და მახვილით, ხანძრით და მკვლელობით სამოქალაქო ომის შეტანას, და რომლებსაც ბევრჯერ დაუმტკიცებიათ საქმიტაც, ცოცხალ ობიექტებზედ, თუ როგორ სერიოზულია ეს მათი სიტყვები. ჩვენ გვსურს ერთა შეკავშირება ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, რომელტაც განძრახს და შეგნებულად შეჰყავთ შხამიანი ბაცილები ერთა სხელში».

ჩვენ არ ვკითხვლობთ, თუ რა მართველობის ფორმა აქვთ იმ ერებს, რომელიც მოსოფლიოს შავი ქირის წინააღმდეგ კავშირდებიან: ავტორიტარულია ის თუ დემოკრატიული. ჩვენ აზრადაც არ მოგვდის სხვა ერებისთვის ჩვენი მართველობის ფორმის რჩევა, არა თუ თავზე მოხვევის ცდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სწორედ კომინტერნის მისწრაფებაა, თავისი რეჟიმი ძალით მოახვიოს თავს სხვა ერებს. ამიტომ ჩვენი სურვილია, ეს ერები შეკავშირდნენ და წინააღმდეგ მათ შინაურ ცხოვრებაში ჩარევის ცდებს, წინააღმდეგ მათი თვითგამორკვევის უფლების შებოღვას».

მაგრამ გერმანიის აზრით ამ საშიშროების არსებობა სამწუხაროდ ყველა სახელმწიფოს არ ესმის. ამიტომ ის იძულებულია ისეთ სახელმწიფოებთან შეჰკრას მოგერების კავშირი, რომელიც საფრთხეს ხელდავენ.

«ნუ თუ ჩვენ—ამბობს ჰესსი—უარი უნდა გვეთქვა ამ თავდაცვით კავშირზე. მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგი სხვა სახელმწიფოები—თვით ესპანეთის გამაფრთხილებელი შუშუნის მიუხედავად!—აღნიშნულ საშიშროებას კიდევ ვერ ხელდავენ, და რომ იმათ, როგორც სჩანს, მათდამი კიდევ და კიდევ გაწვდილი ხელის ჩამორთმევა არ სურთ? ნუ თუ ჩვენგან მოელნიან, რომ ჩვენ ვახელით თვალებით თავს დაავილუპავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებს თვალნი ხელდავად არ აქვთ?»

ჰესსი ხელახლა მოუწოდებს ევროპის ერებს, შეუერთდნენ ანტიკომუნისტურ პაქტს.

ასეთივე მოწოდებით მიმართა ევროპის ერებს და განსაკუთრებთ ევროპის გლენობას გლენთა ყრილობის ხელმძღვანელმა, მიწათმოქმედების მინისტრმა დარსემ.

ერთი სიტყვიტ: ბერლინს სურს მოსოფლიო ანტიბოლშევიკური ბრძოლის მეთაურობა. მასთან არიან ტოკიო და რომიცი. შერჩება მხოლოდ ამათ აღნიშნული ბრძოლის მებაირალობა და წარმოება თუ არა, ეს სხვა სახელმწიფოებზე ჰკიდა.



ლი ა ვ ი რ ი ლ ი

ბ. ბამატის გამოცემის, ურნალ «კავკაზის» მე-9—33 ნუმერში დასტამბულია მეთაური სახელად «ორ სკამზე». რომელიც, აღსავსე ჩვეულებრივი სიბოროტით და სიცრუით, ეხება ქართველთა და მთიელთა ეროვნული ცენტრების (ამ შემთხვევაში შებრალებულია აზერბაიჯანის ეროვნული ცენტრი) შეთანხმებულ მუშაობას და რომელშიაც ბ. ბამატი საბოლოოდ ჰკარგავს ზომიერების გრძობას და მესხიერებას.

ჩვენს ბარათს მიხნად არა აქვს პოლემიკა ბამატთან, ვინაიდან ურნალი «კავკაზი» მისი რედაქტორის განსაკუთრებული საცილისწამებლო ოინებით დიდი ხანია დადგა გარეშე ყოველი არსებითი პოლემიკისა და საურნალო ვთიკის მიღებულ წესებისა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს მწუხარებით, რომ «კავკაზის» ზოგიერთი სხვა თანამშრომელიც აღმოჩნდა შეპყრობილი ბამატისებური ბრმა პატოლოგიური ანტაგონიზმით კავკასიის პასუხისმგებელ საზოგადოებრივობის მიმართ.

ეს ბარათი გამოწვეულია მხოლოდ იმის საქიროებით, რომ უარვყო ერთი ბოროტი ცილისწამება ბ. ბამატისა, პირადად ჩემს წინამდებ მიმართული. ხსენებულ მეთაურის უკანასკნელ აბზაცში ბნი ბამატი აცხადებს ყალბად ჩემი ხელის მოწერას როგორც ჩრდილო კავკასიის ყოფილ მთავრობის წევრისას იმ შემორანდუმზე, რომელიც გადაეცა ერთა ლიგის მე-17 სესიას.

ბ. ბამატმა კარგად უწყის, რომ ჩემს მუშაობას სამშობლოს განმათავისუფლებელ მუშაობაში იცნობს მთიელთა ყველა საზოგადო მოღვაწე რევოლუციის წინა და შემდეგი დროისა. მე მხოლოდ მოკლედ მოვაგონებ ბ. ბამატს, რომ ჯერ კიდევ 1917 წ. მარტს ჩემის ინიციატივით იყო მოწვეული კავკავშირში მცხოვრებ მთიელთა ინტელიგენციის კრება. ჩემი მოხსენების შინაარსის თანახმად ამ კრებამ აირჩია გავრთიანებულ მთიელთა კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელშიაც წევრად შევედი მეც.

იმ დროის პირობები მოითხოვდნენ, რომ გავრთიანებულ მთიელთა კავ. დროებითს ცენტრალურ კომიტეტს დაუყოვნებლივ აეღო ხელში მთელი ძალაუფლება კავკასიის მთიელთა ტერიტორიაზე. ეს კომიტეტი ინიშნავდა დადესტანსა და თერგის ოლქში კომისრებს (ნაცვლად წინანდელი გუბერნატორებისა), აწყობდა საოლქო კომიტეტებს, რომლებშიაც მონაწილეობდნენ ყაზახებიც და გარეშენიც. შემდეგ კომიტეტმა შეიმუშავა მთიელთა ისტორიული საერთო ყრილობის გეგმა 1917 წ. 1 მაისისთვის, რომლის მიხედვით ხდებოდა დელეგატების არჩევნები, ერთის დელეგატისა ხუთას კომლზე. დადესტნის, ჩაჩნეთის, ყუმისეთის, ინგუშეთის, ჩერქეზეთის, ოსეთის, ყაზარდის, ყარაჩაის, ბალკარეთის, ნოგაეთის და ყარანოგაეთის უფლებამოსილმა დელეგატებმა კრებაზე დადასტურეს გავრთ. მთ. კავ. ცენტრალური კომიტეტის უფლებანი, გააფართოვეს მისი შემადგენლობა

და მინიჭეს მას ხარისხი ჩრდილო კავკასიის მართველობის უმაღლესი ორგანოსა.

ამგვარად ცენტრალური კომიტეტი იყო ფაქტიურად მთიელთა სრულუფლებიანი მთავრობა, საყოველთაოდ არჩეული, და მისი წევრი ვიყავი მე.

შემდეგში ამ მთავრობამ მიანდო ბ. აბდულ მეჯიდ ჩერმოვეს კოოპტაცია საზღვარ გარეთის დიპლომატიურ მუშაობისათვის ზოგიერთი მთიელისა, რომლებიც იმ დროს ჩრდილო-კავკასიის გარედ იმყოფებოდნენ. ცენტრალურ კომიტეტის მიერ დანიშნულ ამ დიპლომატთა ჯგუფში იყო ბ. ბამატიც, და საზღვარ გარეთელ დელეგაციისთვის მიცემულ მანდატზე—ამ დელეგაციის წევრი იყო ბ. ბამატი—მთიელთა მთავრობის სხვა წევრთა ხელის მოწერასთან არის ჩემიც, რომელსაც დღეს ბ. ბამატი ასე მოუფიქრებლად ლანძღავს.

ტაუხულტან შახმანი.

გვარდიის დღეობა

12 დეკემბერს, სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავად, პარიზში მყოფ ყოფილ გვარდიელთა მიერ გამართულ იქმნა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო პარიზში მცხოვრებ ყოფილ გვარდიელთა უმეტესობა, განურჩევლად პარტიული მიმართულები-სა თუ დაჯგუფებისა. სხდომა გახსნა საინიციატივო ჯგუფის სახლით თავმჯდომარემ.

სხდომის საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა საქარ. მთავრობის თავმჯდომარე ბნი ნოე უორდანი.

თავმჯდომარის წინადადებით კრება იგონებს და ფეხზედ აღდგომით პატივს სცემს იმ გვარდიელთა ხსოვნას, ვინც თავი დასდეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

თავმჯდომარე მოკლე სიტყვაში აგონებს კრებას იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ამიერ-კავკასიაში და კარძოდ საქართველოში მეფის რეჟიმის დაცემისა და რუსეთის დამარცხების შემდეგ; გვარდიის დაარსების პირობებს, არსენალის აღებას, 12 დეკემბრის გვარდიის დღედ გამოცხადებას და გვარდიის ბრძოლებს სხვადასხვა ფრონტებზე; იგონებს რუსეთის ციხეებში გამომწყვდეულ ყოფ. გვარდიელებს და გამოსთქვამს საბოლოო გამარჯვების იმედს, მოუწოდებს დამსწრეთ იყვნენ მხნე, მტკიცე და მამაცნი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და დემოკრატიული რეჟიმის დასამყარებლად.

გარ. ურატაძე კითხულობს მოკლე მოხსენებას გვარდიის შესახებ მისი დაარსების დღიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.

ვ. ჩუბინიძე კითხულობს წერილს ციმბირში მყოფ ყოფ. გვარდიელებისათვის.

ს. მენაღარი აცნობს კრებას გვარდიელების როლს აგვისტოს აჯანყებასა და არალეგალურ მუშაობაში და გამოსთქვამს იმედს, რომ საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლებში ყოფ. გვარდიელები



ღირსეულად მოიხდინ თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე.

მეტად შინაარსიან მოხსენებას აკეთებს ვლასა მგელაძე, უნატავს კრებას ცოცხალ სურათს ქართველი პოლიტიკური პარტიების ბრძოლისას მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, თავდაცვის მიზნით წითელ რაზმების დაარსებას, მათ ღირსებას და სუსტ მხარეებსაც, და აქედან მიღებულ გამოცდილების, რევოლუციის შემდეგ, სამხედრო ძალის შექმნაში—საფუძვლად დადებს.

წარმოთქვას სიტყვები ნ. ნიქარაძემ, დ. რევაზიშვილმა და მ. ვარდლიანმა.

თავის მოკლე სიტყვაში ს. მდივანმა გააცნო კრებას პირობები რუს. სამხედრო კომისიის მიერ კანონის მიღებისა გვარდიის შესახებ; რუსულბოიკის მდგომარეობა ბათუმის დაცემის დროს, უნაყოფოცა და ქართული კორპუსის შექმნისა, გვარდიის მოძრაობა ამავე ხნებისა და მისი ღვაწლი ახალი ჯარის მშვიდობიანად შექმნისათვის, და 3 წლის განმავლობაში დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

კრებამ მიიღო მილოცვები ბელგიიდან კოლონელ ცაგურასაგან, პარიზიდან ყოფ. საგანგებო რაზმის თანამშრომლებისაგან.

კრებამ ერთხმად დაადგინა მისალმონი დეპუტა გაუგზავნოს საქ. მთავრ. თავმჯდ. და სახალხო გვარდიის დაარსების მთავარ ავტორს ბ. ნ. კორდანიას.

კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება, აგრეთვე დეპუტით მიესალმოს ქართველი ერის მეგობარს, ბოლშევიზმის დაუძინებელ მტერს და ყოფილ საპატრიო გვარდიელს კ. კაუცკის.

კრების მდივანი ს. გ—ძე.

GEORGICA

გამოვიდა ინგლისურად «Georgica»-ს მეორე და მესამე ნუმერი შემდეგი შინაარსით: ზ. ავალიშვილი, ჯვარი შორეულ ქვეყნიდან; ექ. თაყაიშვილი, წალენჯიხის ეკლესიის ჯვარცმის ხატი; არქიმ. გრ. ფერაძე, საქართველოს გავლენა ბალკანეთის ერებზე; ტ. მარგველაშვილი, ვეფხის ტყაოსანი; ბადელი, 1877 წ. აჯანყება დალესტანსა და ჩაჩნეთში; გრ. ბოჭორიძე, ჯვარისას ძეგლი; ა. გუგუშვილი, საქართველოს ეთნოგრაფიული და ისტორიული დანაწილება; ს. მაკალათია, კოლხური დიდრახმები; ს. კაკაბაძე, სვეტიცხოველის ტაძრის აშენების თარიღი; ალ. ჯავახიშვილი, კავკასიური რასა; ა. გუგუშვილი, ქრონოლოგიურ-გენეალოგიური ცხრილი საქართველოს მეფეების; ე. თაყაიშვილი, ოთხი ბაზილიკი ყვირის ხეობაში; ტაობოტ რაის, ჩუბინაშვილის «ქართული სურათმოდგერება»; ბალტურუშაიტისი, სომხური სურათმოდგერება და გოთური ხელოვნება; ა. გუგუშვილი, ქართული ანბანი.

წიგნს ამშვენებს მრავალი სურათი და საქართველოს რუკა.

ქართული კულტურული საქმე უცხოეთში

ქართველი საზოგადოება ჯეროვანის ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმ კულტურულ მუშაობას, რომელსაც ბ. გრიგოლ რობაქიძე ეწევა უცხოეთში.

მას შემდეგ, რაც გრ. რობაქიძე საბოლოოდ განშორდა საბჭოების «სამოთხეს», რომ მის გარეშე მოვლავინა სულიერი შემოქმედებისათვის აუცილებელი პირობები, მისი მუშაობა ფრიად ნაყოფიერ შედეგებს იძლევა. გრ. რობაქიძემ უკვე ექვსი წიგნი დასტამბა გერმანულ ენაზედ, რასაც—განსაკუთრებით მის რომანებს—დიდის ყურადღებით შეხვდა ევროპული კრიტიკა. ამას წინედ ერთმა შვეციურმა ჟურნალმა ანკეტა გამოაცხადა და თავის მკითხველებს წინადადება მისცა, დაესახელებინათ სამი, ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაწარმოები თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურისა. ცნობილმა კრიტიკოსმა ნეანდერ ნილონმა ამ სამს ნაწარმოებში ერთი გრ. რობაქიძის რომანიც მოიხსენია (მოკლული სული).

მწერლობასთან ერთად ბ. გრიგოლ რობაქიძემ ამა წლის განმავლობაში მრავალი მოხსენება წაიკითხა გერმანიის უმთავრეს ქალაქებში და ასევე გააკეთა მოხსენებები ბერლინის, ლაიპციგის, კიოლნის და ვენის რადიო სადგურების შემწეობით. ამ მოხსენებათა საგანია «საქართველოს მეტაფიზიკური სახე». ეს სახე, ბ. გ. რობაქიძის შეხედულებით, მოცემულია თვითონ ქართულ ენაში—როგორც ერთგვარი ხვეული მსოფლგაგებისა. ეს მოხსენებები დიდს ინტერესს იწვევს გერმანულს საზოგადოებაში, ხოლო ქართული ენის საიდუმლოება პირდაპირ ვაოცებს.

ს ო შ ო

27 სექტემბერს სომოს ქართველთა კალონის ბინაზე გამართულ იქმნა უკრაინელი პოეტის ივანე ფრანკოს ხსოვნის აღსანიშნავი დღესასწაული, რომელზედაც უკრაინელების მიერ მიწვეულნი იყვნენ ქართველები და კახაკების ერთი ნაწილი ატამანი ტიშჩენკოს მეთაურობით. დარბაზი მორთული იყო უკრაინული, ქართული და კახაკების ეროვნული დროშებით, იუბილარის სურათით და აგრეთვე ქართველ პოეტების სურათებით. დილის 10 საათზე საზეიმო სხდომა გახსნა პარიზიდან ჩამოსულმა უკრაინის პოლიტიკურმა მოღვაწემ ბ. ნ. შაპავალმა, დაასურათა როლი ივანე ფრანკოსი უკრაინის ერის თავისუფლების ბრძოლაში და შემდეგ მიესალმა ქართველებს და კახაკობას: «თქვენს ჩვენთან ერთად მონაწილეობა ჩვენს ზეიმში მოწმობს, რომ მომავალ ბრძოლებში, რომელიც შორს არ არის, სამივე ერთად დარაზმული შევხვდებით ჩვენს საერთო მტერსო». ქართველების სახელით სიტყვა წარმოთქვა ვლ. ბაქრაძემ და კახაკობის სახელით კი ატამანმა ტიშჩენკომ, არის შემდეგ შესრულებულ იქნა

უკრაინული, ქართული და კახაკების ეროვნული ჰიმნები. კრება დასრულდა 12 ნახ. საათზე. მერმე განმარტა ბანკეტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 60 კაცმა. ბანკეტზე საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ვლ. მგელაძემ და წაიკითხა თავისი საკუთარი ორი ლამაზი ლექსი. ბანკეტს მოყვა ცეკვა (ბალი), რომელიც გაგრძელდა ღამის 12 საათამდის.

აქვე ქართულ სამკითხველს ბინაზე 11 ოქტომბერს კახაკების მიერ მოწყობილ იქმნა ჯარის დღესასწაული. სტუმრებად მიწვეულნი იყვნენ ქართველები და უკრაინელები. კრებაზე ვრცელი და მეტად შინაარსიანი ლექცია წაიკითხა ლიონიდან ჩამოსულმა ოლქის ატამანმა. რომელმაც აწერა კახაკების როლი წარსულში რუსული იმპერიალიზმის სამსახურში და აგრეთვე დახატა გზები მომავალი ბრძოლისათვის. კახაკობა, ეს ავანგარდი რუსული იმპერიალიზმისა, დღეს თავის საკუთარი ეროვნული კერის აგებას ლამობს და ჩაგრულ ერებთან კავშირის გაბმას ცდილობს.

ი. ბ—ლი

ქართველები ამერიკაში

8 ნოემბერს, ნიუორკში, ს. ერისთავის რესტორანის დარბაზში შესდგა ამერიკის ქართველთა საზოგადოების წლიური კრება. დღის წესრიგში იყო სარევიზიო კომისიის მოხსენება და გამგეობის არჩევნები. საზოგადოების საზინდარის ბ. თარსაძის მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია ახალი გამგეობა შემდეგის შემადგენლობით: ნ. ალავეძე, ი. ორბელიანი, კ. გურგენიძე, პ. კვარაცხელია და ა. ყრუაშვილი. კრებას მეტად მწყობრი და მეგობრული ხასიათი ჰქონდა. არჩევნების შემდეგ საზოგადოების წევრებს სადილი გაუმართა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. ვასილ დუმბაძემ. საზოგადოების წევრებმა მხურვალე მადლობა გამოუცხადეს ბ. ვ. დუმბაძეს და წინანდელ გამგეობას ნაყოფიერი მუშაობისათვის. ბ. ვ. დუმბაძემ თავის სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა ამერიკაში მყოფ ქართველთა ის კარგი თვისებები, რომელიც ასე უწყობდა ხელს გამგეობას და ნაყოფიერებას ჰმატებდა ყოველს მის მოქმედებას. როგორც ყველგან, ისე ჩვენს შორისაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ყოველივე ეს ჩვენს საერთო ეროვნულ ინტერესს ემორჩილება და ამის გამო ჩვენი საზოგადოება ასე მთლიანია, ერთსულოვანი, ამიტომაც რომ ჩვენი საზოგადოების წევრები ერთს მეგობრულს წრეს წარმოადგენენ და ერთმანეთის გვერდში არიან ჰირსა და ლხინში.

ამ მეგობრულ სადილს ქართული ხანძრის ხანძართი მიეცა ქართული სიმღერებითა და ცეკვა-თამაშით.

მღრეული.

საქართველოს ამბები (გაზეთებიდან)

- «ვ. ტყაოსანი» ითარგმნება აზერბაიჯან. ენაზე.
- გამოვიდა გ. ჩუბინაშვილის დასურათებული «ქართული ხელოვნების ისტორია».
- მზადდება ნ. ბარათაშვილის ახალი აკადემიური გამოცემა.
- მზადდება ილ. ჭავჭავაძის ნაწერების საიუბილეო გამოცემა.
- დაიწყო გათხრები დმანისში, სადაც უკვე აღმოჩნდა ბევრი ძველი არქ. ისტ. ნივთი, ფული და სხ.
- მოკლე დროში გამოვა პლ. იოსელიანის «გიორგი მეცამეტის ცხოვრების» ახალი გამოცემა.
- გარდაიცვალა პრაფ. ს. ამირჯები.
- გარდაიცვალა მხატვარი გ. გაბაშვილი.
- გ. ასატურმა დაამთავრა «ვ. ტყაოსნის» თარგმნა სომხურად.

გიორგი მუსხელიშვილი

ამა წლის 8 ოქტომბერს დასავლეთ აფრიკაში მძიმედ დაშავდა მუშაობის დროს და 4 ნოემბერს გარდაიცვალა გიორგი მუსხელიშვილი. განსვენებული პარიზში ცხოვრობდა, ხოლო ამ რამდენიმე თვის წინად დროებით სამუშაოზე წავიდა აფრიკაში. მას მთელი ემიგრაცია კარგად იცნობდა და ყველას პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული როგორც მეტად სიმპატიურს ახალგაზდას.

წმილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორ!

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა მივუძღვნათ ყველა იმათ, ვინც პირადად თუ წერილობით სამძიმარი გამოგვიცხადა ჩვენი საყვარელი და დაუფიწყარი დედის, სიდედრის და დი-დედის სოფიო ნიკოლოზ დადიანის ასულის ნაკაშიძის გარდაცვალების გამო და მით გვანუგეშა მძიმე მწუხარებაში. ნელი და სიმონ ძღვივნები შვილებით.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო Colonel D. de Souramy ს ბრიუსელში გამოცემული წიგნაკი სახელად La dislocation U. R. S. S. et les problemes du Caucase. ავტორი მხურვალედ იცავს კავკასიის ერების ერთობის და კავშირის საჭიროებას.

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ოქული უნდა გამოგზავნებდნ შემდეგი მისამართით:
M-r PIRTSKALAVA
10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

დამოუკიდებელი საქართველოს 1936 წ. სარჩევი

I. მეთაურები:

1935 წ. მემკვიდრეობა 121, რუსეთ-საფრანგეთის პაქტი 122, გაშიშვლდენ 123, ულან ბატორის ოქმი 124, სამისო ფიქრები 125, მონტროს კონფერენცია 125, ბოლშევიკური ბოლო 127, ენევეაში 128, ამბების მოლოდინში 129, წლიური ჯამი 130.

II. წერილები:

არძიგ ბ.: მტრის ზეიმი 124, საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია 126.
ასათიანი ალ.: წერილები იტალიაზე 127-128.
ბოდდღელი ი.: ბარათი ქართველ მანდილოსანს 125.
დარზისელი სტალინის ახალი კონსტიტუცია.
თაყაიშვილი ექ.: აკადემიკოსი ნ. მარტი 123-124, მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი 129.
ი. ნ.: მსოფლიო ბოლშევიზმი 127.
ინგილო: ახალი წელი ძველი ვალებით 121, შიშის დენი 123, სიმბოლო მაისისა 125, ღირებულებათა გადაფასება 128, მშენებელნი და მგრეველნი 130.
ლ—ძე ემ.: პრეზიდენტი განმათავისუფლებელი 121.
მარტენი ე.: სერიოზული გაფრთხილება 121, საქართველო, საქართველო! 125, შვეიცარიის ღირსება 126.
ნაურო: წერილები ამერიკიდან 121, 122, 124, 125, 126, 127, 129, 130.
ნუფუბიძე ი.: მონარდი თაობა გვედუპება 121, მონობის სამეფოში 122, იმედით და რწმენით 125, კართაგენი უნდა დაინგრეს 127, ეროვნული სული 129, ეროვნული ღირსებისათვის 130.
ჟორდანიან ნ.: 26 მაისი 125.
ჟურული გ.: კავკასიის კონფედერაციის კითხვების ირგვლივ 121.
რეტორი: გლოვის დღე 122.
უ. მ.: ეკონომიური მიმოხილვა 124.
ფირცხალავა ს.: დედა-მიწა მაინც ბრუნავს 125, 1924 წლის აჯანყება 126, კავკასიური ცივილიზაცია 129.
შავიშვილი ნ.: საქართველო ორ კონგრესზე 128.
შალიკაშვილი მარტ.: ქალი დამოუკიდებლობის ბრძოლაში 124.
დ. შ.: ემიგრანტული პრესის მიმართულებათა შესახებ 122, ვიარაღ ყველამ ერთად 124, მარშალ პილსუდსკის გარდაცვალების წლის თავი 125, პოლონეთის პრესა 127, დღევანდელი პოლონეთი 130.
ჭ. ი.: შ. რუსთაველის დღესასწაული 124.
Ziemiak: რა მოაქვს დღევს 127.
y.: ბერლინი და მოსკოვი 128-130.
X. X.: განახლებული ირანი 122-123.

III. საქართველოს საკითხის გარშემო.

ე. მარტენის მოხსენება 121. საქართველოს საკითხი 122. ერთა ლიგის ირგვლივ 123. საქართველოს საკითხი 123. გერმანული პრესა საქართველოზე 123. საქართველოს საკითხი 124. საქართველოს საკითხი 125. სრუტეების თავისუფლება და საქართველო 126. საქართველოს საკითხი 126.

IV. კავკასია.

სომეხ ქართველთა უნიონის მოწოდების გამო 126. რეზოლუცია კავკასიის კონფედერაციის საბჭოსი 126. კავკასიის დღესასწაული 126. კავკასიის დღე-გაცა კრაკოვში 126-127. მუსავატის პარტიის ყრილობა 127. ერთა ლიგის კრება და კავკასიის ერები 128-129. დაჩაგრული ერების მიმართვა ერთა ლიგას 129. ღია წერილი, უახმანისა 130.

V. კორესპონდენციები.

თურქეთიდან საბერძნეთში 125. წერილი სომო-დან 130.

VI. ქართველები უცხოეთში.

ვაჟა-ფშაველას დილა 121. ქართველები თურქეთში 121. ქართველები ამერიკაში 121, 122. ქართველთა დღესასწაული შორეულ აღმოსავლეთში 122. ქართველ მანდილოსანთა კეთილი საქმე 122. საყურადღებოდ (აფისის შესახებ) 122. ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კრება 122. ქართველები საფრანგეთში 122. მოხსენება შ. რუსთაველზე 122. ქართველები სპარსეთში 124. პრ.ფ. ლეფური პრალაში 125. ეროვნული განძეულობის თაობაზე 126. 26 მაისი პარიზში 126. 26 მაისი პრალაში 126. ბრიუსელის ქართველების მოწოდება 126. ქართული სამეცნიერო წრე პარიზში 127. ქართველები საფრანგეთში 127. ქართველები ამერიკაში 130. გვარდიის დღეობა 130.

VII. საქართველოს ამბები.

121, 123, 125, 130.

VIII. უცხოეთი.

იაპონია და ჩინეთი 122. ინდოეთის გზები 123. უცხოეთის მიმოხილვა 123, 124, 125, 126: ომის საფრთხე და რუსის ემიგრაცია 124.

IX. ნეკროლოგები.

ან. სალუქვაძე 121. ვლ. იმნაძე 121. სამგალითო ადამიანი (მ. თუმანიშვილისა) 123. კარ. ჩხეიძე (ათი წლის თავი) 126. ქ. ჩოლოყაშვილის პანაშვიდი 126. ს. ალიმბარაშვილი 127. გ. მუსხელიშვილი 130.

X. ბიბლიოგრაფია.

გ. ყიფიანი, ლექსთა კრებული 124. ინდო ინასარი, ჩრდილი ერთი სინამდვილისა 129. ახალი წიგნები 124. Georgica 130.

XI. სხვადასხვა.

წერილები რედაქციის მიმართ 121, 126, 127, 128, 130. პრესა 122, 124. ნეპოლის ინსტიტუტის პრემია ვეფხის ტყაოსნისთვის 126. ეხლანდელი პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის ინსტიტუტი 128.